

„ქართლის ცხოვრების“ შესავალი და მისი ისტორიულ-ტერიტორიული კონცეფცია

ლელა პატარიძე

შესავალი

შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში ცენტრალური ადგილი ისტორიული ხასიათის თხზულებათა კორპუსს — „ქართლის ცხოვრებას“ უჭირავს. ეს არის განგრძობადი ისტორიოგრაფიული ტრადიცია, რომელიც ასახავს საქართველოს წარსულს დასაწყისიდან XVII საუკუნის ჩათვლით. აღნიშნული კრებული შედგება სხვადასხვა პერიოდში შექმნილი საისტორიო თხზულებებისაგან, რომელთა შორის უველაზე მეტ დავას თანამედროვე მეცნიერებაში იწვევს მისი დასაწყისი ნაწილი, რომელშიც ტრადიციულად გამოყოფენ დასაწყისიდან V ს-მდე, და V-VIII სს. ისტორიულ თხრობას. ორივე ეს ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენება აგრეთვე როგორც „ქართლის ცხოვრების დასაწყისი ნაწილი“. პირველი თხზულების სახელწოდება არის „ცხოვრება მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ (მოკლედ „მეფეთა ცხოვრება“). თანამედროვე ქართულ სამეცნიერო წრეებში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, მისი ავტორია ლეონტი მროველი (XI ს.), ხოლო მეორე, ანუ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ მიეწერება ამავე საუკუნის ავტორს ჯუანშერს. მიუხედავად დამკვიდრებული შეხედულებისა, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის როგორც შედგენილობა, დაწერისა და რედაქტირების თარიღები, ისე ტექსტის ატრიბუცია მეცნიერთა შორის დღემდე კამათის საგნად არის ქცეული. მკვლევართა ნაწილი მათ VIII ს-ით ათარიღებს, არსებობს ამ ძეგლის ცალკეული მონაკვეთების უფრო ადრეული ხანით დათარიღების ცდებიც.

როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრება“ აშკარად იდეოლოგიური ხასიათის ძეგლია. კერძოდ, დასაწყის ნაწილში გამოიკვეთება ქართლის „ხოსროიან“ მეფეთა იდეოლოგია („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბაგრატიონთა გამეფებამდე ქართლის სამეფოს ძირითადად ორი დინასტია განაგებდა ფარნავაზიანები ძვ.წ. III ახ.წ. III სს.-ში და „ხოსროიანები“, სასანიანთა გვერდითი შტო, III-VIII სს.-ში), ხოლო ვრცელ მეფეთა ცხოვრებებს მეფობის ლეგიტიმაციის ტექსტების ფუნქცია აქვთ. ასეთი ხასიათის ტექსტები შესაბამისი იდეოლოგიური მიზნით, სამეფო სახლის პატრონაჟის ქვეშ უნდა შედგენილიყო. შესაბამისად, მათი შექმნა უფრო ადრეული ხანით — სპარსეთში სასანური დინასტიის ბატონობით და ამ სახელმწიფოს ქართლის სამეფოზე პოლიტიკური და კულტურული გავლენის პერიოდით უნდა

დათარიღდეს. ამ დებულებას მხარს უჭერს საკუთრივ „მეფეთა ცხოვრების“ ერთი მინაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, VIII ს-ის შუა ხანებში გაკეთდა, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ქართველთა ცხოვრების წიგნი იწერებოდა დრო და დრო ვახტანგ გორგასლის მეფობამდე, უკანასკნელად ის არჩილ მეფის სიძემ, ერისთავმა ჯუანშერ ჯუანშერიანმა აღწერა, ხოლო ამის მერე ასევე უნდა აღიწეროს თვითმხილველთა და „ღვთივგანბრძნობილთა“ მიერ [ქაუხჩიშვილი 1955: 248].

ამ კონტექსტში საუურადღებოა ამერიკელი მეცნიერის სტეფან რაპის დებულება იმის შესახებ, რომ „მეფეთა ცხოვრება“ (დასაწყისიდან „წმ. ნინოს ცხოვრებამდე“) ძირითადად იმ სახით, როგორც ის ჩვენამდეა მოღწეული, წარმოადგენს „ბაგრატიონთა წინა ეპოქაში“ შექმნილ თხზულებას. რაპი თხზულების წყაროთა განხილვის შემდეგ მას დაახლოებით 800 წლის ახლო ხანებით ათარიღებს [რაპი 1997].

როგორც უკვე აღვნიშნე, თხზულების შესავალი და საკუთრივ მეფეთა ისტორია მე განსხვავებულ კონცეფციათა და იდეოლოგიათა მატარებელ მონაკვეთებად მიმაჩნია. ამიტომ აღნიშნული თარიღი, ჩემი აზრით, ეხება შესავლის შექმნასა და დანარჩენი ნაწილის რედაქტირებას და შესავალთან მისი გაერთიანებისათვის ჩატარებულ სამუშაოს. სხვაგვარად: დაახლოებით 800 წლისათვის ქართულ საისტორიო სამწერლობო ტრადიციის განვითარების მოცემულ ეტაპზე, ანონიმმა ისტორიკოსმა უკვე არსებული „ქართველთა ცხოვრების წიგნისათვის“, რომელიც მოიცავდა თხრობას ფარნავაზ მეფიდან (ძვ.წ. III ს.) არჩილ მეფემდე (ახ.წ. VIII ს-ის I ნახ.) შექმნა ისტორიულ-მითოლოგიური და ეთნო-კულტურული კონტექსტის შემცველი შესავალი. ამას „ქართლის ცხოვრების“ შესავლის ისტორიულ-ტერიტორიული კონცეფციაც ასაბუთებს.

დასაწყისიდან *ფარნავაზის ცხოვრებამდე* მე ვუწოდებ *ქართლის ცხოვრების* შესავალს, რადგან ფუნქციურად და შინაარსობრივად ეს არის „მეფეთა ცხოვრების“, ანუ საკუთრივ ქართლის სამეფოს ისტორიის „პრეისტორიული“ და გეოგრაფიულ-ეთნოლოგიური სურათი, რომელიც შუა საუკუნეების ავტორმა თავისი დროის ლიტერატურულ-ჟანრული და მსოფლმხედველობრივი მოთხოვნების შესაბამისად წარუმძღვარა მეფეთა ისტორიის წერილობით ტრადიციას. შესავალი „მეფეთა ცხოვრების“ ტრადიციას ეფუძნება და არა პირიქით. შესავლის ავტორის მსოფლხატის კონცეპტუალური გავლენა არ ჩანს „მეფეთა ცხოვრებაში“ – მაშინ როდესაც „მეფეთა ცხოვრება“ შესავლის ავტორისთვის ამოსავალი ტექსტია. ამიტომ შესავალი მეორეულია „მეფეთა ცხოვრებასთან“ მიმართებაში. შესავალი ქართველ მეფეთა ისტორიის ქრისტიანულ ქრონოტოპში კონტექსტუალიზაციას ისახავს მიზნად. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ადგილობრივი სამეფო მატრიანეების „ქრისტიანიზაციის“ პროექტი. „მეფეთა ცხოვრების“, როგორც სამეფო სახლის პატრონაჟით შექმნილ საისტორიო ტრადიციაზე, მის იდეოლოგიურ, კულტურულ და ტერიტორიულ-პოლიტიკურ მიმართულებებზე უკვე მქონდა საუბარი. ახლა კი შესავლის ტერიტორიულ და ეთნოლოგიურ კონცეფციას განვიხილავ.

ცნობილია, რომ ბიბლიის გენეალოგიურ მითთან საკუთარი ხალხების დაკავშირება ქრისტიანულ სამყაროში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს ტრადიცია, ბუნებრივია, ასახავს ეთნიკური და ეროვნული წარსულის საკრალიზაციის პროცესს ქრისტიან ხალხებში და ეს საერთო ადგილია საეკლესიო ისტორიებსა და ქრონოგრაფიებში.

„გარდასულ წელთა მოთხრობა“ «Повесть временных лет» ძველი რუსული საისტორიო კრებულია, რომლის ე. წ. პირველი მატთანე ბიბლიურ-ქრისტიანული ისტორიის პარადიგმას მისდევს. როგორც რუსი მკვლევარი პეტრუხინი აღნიშნავს, ეს დასაწყისი ემსახურება ისტორიული სივრცის „საკრალიზაციას“ ან, უფრო ზუსტად, ისტორიული სივრცის ინტერპრეტაციას როგორც საკრალურისას. მთავარი ამოცანა აქ ორ ძირითად კითხვაზე პასუხის გაცემაა: რუსი ხალხის გენეალოგიის (წარმომავლობის) და რუსული მიწის ტერიტორიული ფარგლების განსაზღვრა [Петрухин:480-1].

ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვა ქართველი მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ „ქართლის ცხოვრება“ შესავალ ნაწილში ისტორიის ქრისტიანული კონცეფცია დასტურდება¹. ამჟამად ჩემი მიზანი „ქართლის ცხოვრება“ შესავლის ტერიტორიულ – ეთნოლოგიური და ისტორიული კონცეფციის გარკვევით შემოიფარგლება. ამიტომაც ამჯერად დათარიღებისა და ატრიბუციის საკითხებს თავს ავარიდებ, რადგან ეს ცალკე საკმარისად საფუძვლიანი მსჯელობის საგანია. აღნიშნავ მხოლოდ, რომ გასაზიარებლად მიმაჩნია ამერიკელი მეცნიერის სტეფან რაპის დებულება იმის შესახებ, რომ „მეფეთა ცხოვრება“ (დასაწყისიდან „ნინოს ცხოვრებამდე“) ძირითადად იმ სახით, როგორც ის ჩვენამდეა მოღწეული, წარმოადგენს „ბატონთა წინა ეპოქაში“ შექმნილ თხზულებას. როგორც უკვე აღვნიშნე, თხზულების შესავალი და საკუთრივ მეფეთა ისტორია მე განსხვავებულ კონცეფციათა და იდეოლოგიათა მატარებელ მონაკვეთებად მიმაჩნია. ამიტომ აღნიშნული თარიღი, ჩემი აზრით, ეხება შესავლის შექმნასა და დანარჩენი ნაწილის რედაქტირებას და შესავალთან მისი გაერთიანებისათვის ჩატარებულ სამუშაოს. სხვაგვარად, დაახლოებით 800 წლისათვის ქართულ საისტორიო სამწერლობო ტრადიციის განვითარების მოცემულ ეტაპზე ანონიმმა ისტორიკოსმა უკვე არსებული „ქართველთა ცხოვრების წიგნისათვის“ (ფარნავაზიდან არჩილის ცხოვრების ჩათვლით) შექმნა ისტორიულ-მითოლოგიური და ეთნოკულტურული კონტექსტის შემცველი შესავალი.

ეთნოკულტურული იდენტობის კვლევის თვალსაზრისით, ამ შესავალში ჩამოყალიბებული კონცეპტუალური სურათის გარკვევას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ასახავს ავტორის თვალსაწიერში არსებულ ცოდნას ხალხთა წარმომავლობისა და განსახლების შესახებ, მაგრამ იმავდროულად ამ ცოდნისა და საკუთრივ „მეფეთა ცხოვრების“ მონაცემებიდან გამომდინარე

1 თუმცა მათ შესავალი საკუთრივ „მეფეთა ცხოვრებისაგან“ არ გაუმიჯნავთ და ამ ორ სხვადასხვა კონცეპტუალური მიმართულების ტექსტებს იხილავდნენ როგორც ერთი ავტორის — ლეონტი მროველის თხზულებას. რის შედეგადაც მოხდა ისე, რომ შესავლის წყაროთმცოდნეობითი და ლიტერატურულ-ისტორიული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები ქართლის ცხოვრების ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილ ერთ დიდ მონაკვეთზე გავრცელდა [ჯავახიშვილი 1977:180-181; კეკელიძე 1956:169]

ავტორი ორიგინალურ კონცეფციას ქმნის. ეს არის საკმაოდ ამბიციური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველი ხალხის წარმომავლობის მითის ჩამოყალიბებას და ამით ქართული ცნობიერების (იდენტობის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენის შექმნას.

I

როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ქრისტიანულ საისტორიო სამწერლობო ტრადიციაში საყოველთაოდ გავრცელდა ხალხთა წარმომავლობის ბიბლიური კონცეფცია, რომლის თანახმად, მსოფლიოს ყველა ხალხი ნოეს ძეთა სემის, ქამისა და იაფეთისგან მომდინარეობდნენ და, შესაბამისად, წარღვნის შემდგომ განსახლდნენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში. ქრისტიან ავტორთა წინაშე დადგა ამოცანა, რომ მათ ხელთ არსებული ცოდნა გეოგრაფიისა და ეთნოსთა განსახლების შესახებ, რომელიც ძირითადად ანტიკური საისტორიო და გეოგრაფიული ტრადიციიდან მომდინარეობდა, ბიბლიური მსოფლხატისა და ბიბლიური დროის კონტექსტში გაეახრებინათ. ეს მუშაობა უკვე ელინისტურ ხანაში დაიწყო, რისი მაგალითიც არის იოსებ ფლავიუსის იუდეველთა სიძველენი. იოსებ ფლავიუსმა სწორედ ანტიკური და ბიბლიური ტრადიციების გაერთიანება და შეთანხმება-შეჯერება სცადა. შემდგომ უკვე ადრექრისტიანული საეკლესიო მოღვაწეები ქმნიდნენ ქრონიკებს — ერთგვარ ქრონოლოგიურ და ისტორიულ ტაბულებს, რათა ბიბლიურ „ჩარჩოში ჩაესვათ“ მათ ხელთ არსებული გეოგრაფიულ-ქრონიკალური მონაცემები. ადრექრისტიან მოღვაწეთა იპოლიტე რომაელის (†235) და ევსები კესარიელის (†335) ქრონიკები შემდგომი ხანის ავტორებმა თავიანთი ქრონოგრაფიული ისტორიების საფუძვლად გამოიყენეს.

განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად ჩვენამდე მოღწეულ უადრეს — იპოლიტე რომაელის ქრონიკაზე მივნივთ შევაჩერო. ეს კომპილაციური ხასიათის თხზულებაა და მოიცავს ისტორიის მთელ პერიოდს „სამყაროს შექმნიდან“ 234 წლამდე. ის წარმოადგენს მრავალი ისტორიულ-ქრონოლოგიური ხასიათის ნაშრომის საფუძველს, როგორც დასავლურ, ისევე აღმოსავლურ საქრისტიანოში..

იპოლიტე რომაელის ქრონიკის ის ნაწილი, რომელიც ეხება წარღვნის შემდგომ ხალხთა განსახლებასა და ნოეს ძეთა გენეალოგიას, უწოდებენ *Di-amerismos* ან *Liber Generationis*. სწორედ ეს *Liber Generationis* გამოიყენა ბევრმა ქრისტიანმა ქრონოგრაფოსმა თავიანთი ისტორიული თხზულებების ბიბლიურ-პრეისტორიულ და გეოგრაფიულ შესავლად. ასე, მაგალითად, ასე იწუებენ ბიზანტიური ქრონიკები და ქრონოგრაფიული ისტორიები: პასქალური ქრონიკა, გიორგი ამარტოლის (გიორგი მონაზონი) ქრონოგრაფი, სიმეონ ლოგოთეტი, მიხეილ სირიელი და სხვანი. ასევე იწუებდნენ თავიანთ საისტორიო შრომებს ე. წ. „ეროვნული ისტორიის“ ავტორებიც შუა საუკუნეებში, მათ შორისაა მოვსეს ხორენაცის *სომხეთის ისტორია*, ძველი რუსული მატიანე გრდასულ წელთა მოთხრობა და ქართლის ცხოვრების დასაწყისი თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და ბირველთაგანთა მამათა და

ნათესავთა“. იპოლიტე რომაელის თხზულებას და მის შემდგომ გადამუშავებულ ვარიანტებს იცნობდა და ხელახლა ამუშავებდა X საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე ექვთიმე ათონელი [კეკელიძე 1956:169-182].

შესავლის წყაროების შესახებ ქართველ მეცნიერთა არა ერთი ნაშრომი არსებობს. მათ შორის აღვნიშნავდი კორნელი კეკელიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გურამ მამულიას; დეტალურად მეფეთა ცხოვრების წყაროები შეისწავლა სტეფან რაპმა, აქვე მოტანილია ვრცელი ბიბლიოგრაფია, ქართლის ცხოვრების წყაროების დადგენისადმი მიძღვნილი ნაშრომებისა. ამიტომ ამის გადმოცემის საჭიროება ამჟამად არ არის. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ რაპის დასკვნით, არც ერთი წყარო, რომლის შესავლის ავტორს შესაძლოა გამოყენებული ჰქონდეს, არ გადმოსცილდება 800 წელს. ძირითადი წყაროები, რომლებიც ამ მკვლევარმა სავარაუდოდ გამოყო, ეს არის იპოლიტე რომაელის „ქრონიკის“ სომხური თარგმანი და ირანის ისტორიულ-ლექსიკონული ციკლის ხოდაი-ნამეს საშუალო სპარსული ტექსტი ან მისი არაბული თარგმანი, შუა საუკუნეებში ძალზე გავრცელებული ტექსტი — „აღექსანდრეს რომანი“ და სხვ. [შესაძლოა, ეს ჩამონათვალი კიდევ შეივსოს].

მართალია, აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილში ავტორი ეურდნობა და იუენებს გარეშე წყაროებს — ბიბლიური ტრადიციას, ისტორიულ-გეოგრაფიულ ტექსტებს, ირანის საისტორიო ტრადიციის ამსახველ თხზულებას/ებს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჩვენს წინაშეა ორიგინალური ეთნო-გეოგრაფიული და ისტორიული კონცეფცია. ვეცდები სწორედ ამ კონცეფციის ორიგინალური შინაარსი და საზრისი წარმოვადგინო, ვუპასუხო ძირითად კითხვას როგორ წარმოუდგენია შესავლის ავტორს ქართლის ისტორია დასაბამიდან მეფობის შექმნამდე და რა ტერიტორიულ იდენტობას ადასტურებს ის.

„ქართლის ცხოვრების“ წინაისტორიულ (=მეფობამდე) ნაწილში სამეფოს ისტორიისათვის დრო-სივრცული კონტექსტის მოხაზვის ცდაა წამოდგენილი. ავტორს არა იმდენად მოვლენათა ქრონოლოგია აინტერესებს, რამდენადაც დასაბამი წერტილის მონიშვნა (წარღვნის შემდგომი ხანა) და შემდგომ ეპოქათა თუ მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელიც ქართლში პირველი მეფის გამეფების ამბამდე მივა. ამდენად ავტორისათვის მნიშვნელოვანია დროისა და მოვლენების თანმიმდევრული უწყვეტობა კაცობრიობის დასაწყისის წერტილიდან ქართლის სამეფოს დასაწყისის წერტილამდე. ეს თანმიმდევრობა ასე შეიძლება მოვხაზოთ:

1. ამბავი რვათა ძმათა — თარგამოსის ძეების კავკასიაში განსახლების სქემა;
2. თარგამოსიანთა ბრძოლა ნებროთის წინააღმდეგ;
3. ქართლოსის ძეთა ტერიტორია (ქართლის სამეფოს გეოგრაფია);
4. „ხაზართა შემოსვლა“ როგორც კავკასიის ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპი;
5. სპარსული ციკლი „შემოსვლა სპარსთა“;

6. სხვადასხვა „ოტებული“ ხალხების შემოკრება ქართლში;
7. „შემოსვლა ალექსანდრესი“.

ჩანს, რომ, ავტორის შეხედულებით, ისტორიის რამდენიმე გარდამტეხი ეტაპი გამოუვლია ქართულ ეთნოსს დასაბამიდან მეფობამდე. პირველი ეტაპი არის თარგამოსიანთა ერთობაში უოფნა, თარგამოსის წიაღის ხანა. ეს ის დროა, როცა თარგამოსიანები ერთობლივად მსახურებენ „ნებროთს“ — *(პირველ მეფეს უოვლისა ქუეყანისა)*. ამ დროს თვით თარგამოსის წიაღში უკვე გამოკვეთილნი არიან მისი ძენი — უფროსი ჰაოსი, შემდგომი ქართლოსი და დანარჩენები. როცა თარგამოსის ძეები იყოფენ „მამულს“, ჰაოსს, როგორც უფროს ძეს, ხვდება თარგამოსის ტახტი. ის მამის ადგილს იკავებს და უდიდეს და საუკეთესო წილს ირგუნებს. მის ჩრდილოეთით კი განლაგდებიან დანარჩენი თარგამოსიანები. ძმები იბრძვიან ერთად ნებროთის წინააღმდეგ. ახალი ეტაპი კავკასიის ეთნიკურ ისტორიაში იწყება, როცა ნებროთის დამარცხების შემდეგ ჰაოსი — უფროსი და უძლიერესი შვილთა შორის დგება *მეფედ ძმათა თვისთა ზედა*, ხოლო ძმები *წავლენ თვის-თვისად ქვეყანად*.

აქედან იწყება უკვე საკუთრივ ქართლის დამოუკიდებელი არსებობა. ქართლოსს, თარგამოსის მსგავსად, ჰყავს 8 მემკვიდრე (ხუთი შვილი და სამი შვილიშვილი). მათ შორის იმავე პრინციპით ნაწილდება „მამული“. უფროსი და უძლიერესი — მცხეთოსი მამის ტახტს (სატახტო ქალაქს — მცხეთას) იმკვიდრებს, დანარჩენებიც შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებს ეუფლებიან.

შემდეგ ხდება ხაზართა შემოსვლა — ესეც მნიშვნელოვანი ეტაპია კავკასიის ისტორიაში. ამ დროს ხდება ჩრდილოკავკასიური ეთნიკური სურათის შეცვლა — აქ „ოვსთა“ დამკვიდრება.

შემდეგი ახალი ეტაპი სპარსული ბატონობის ხანაა, მაგრამ ამ ეტაპს თან ახლავს სპარსთაგან დევნილი ხალხების ქართლში შეფარების სურათი, რომელიც, ავტორის აზრით, განმსაზღვრელია ქართული ენის ჩამოყალიბებისათვის. თვით სპარსული ბატონობის ხანა ავტორს სპარსეთის ისტორიის ლეგენდარულ-ისტორიული მოთხრობის მეშვეობით აქვს შემოტანილი ტექსტში. თუმცა ჩანს, მას ადგილობრივი ქრონიკალური სახის ჩანაწერებიც უნდა ჰქონოდა *(არდამ ერისთავი, ოთხნი ერისთავნი)*. და ბოლოს, ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლა აგვირგვინებს მეფობამდელ ხანას. „ფარნავაზის ცხოვრებით“ უკვე სახელმწიფოს ისტორიის ხანა იწყება, და ეს ისტორია უკვე მატიანეებით და ქრონიკებით გადაბმული მეფეთა *ცხოვრებებით* გადმოიცემა.

ავტორის ეთნიკურ-სახელმწიფოებრივი კონცეფციის დასადგენად და, შესაბამისად, ქართველთა ეთნოკულტურული იდენტობის ქმნადობის ერთ-ერთი ეტაპის წარმოსაჩენად უპირველეს უოვლისა უნდა გავარკვიოთ, როგორია ისტორიული აღწერილობის ლოგიკა მოცემულ ტექსტში და როგორია ავტორის კონცეფცია ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

თავიდანვე ხაზი უნდა გავესვას, რომ ავტორი ეთნიკურ და სახელმწიფოებრივ ისტორიას შორის მკვეთრ ზღვარს არ დებს. ერთ შემთხვევაში

თუ ქართლოსი აშკარად ეთნიკურ სახელწოდების საფუძველზე შედგენილი ეპონიმი, მცხეთოსი უკვე პოლიტიკური ერთეულის სატახტო ქალაქის აღმნიშვნელი სახელია. ამასთანავე, ეთნარქს, მაგალითად, ჰაოსს ავტორი „მეფეს“ უწოდებს. აქედან ჩანს, რომ მას პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრები გაიგივებული აქვს. თითოეული ტერიტორიული ერთეული მისთვის ერთდროულად პოლიტიკური ან ადმინისტრაციულიც არის და ეთნიკურ-ტომობრივიც. გენეალოგიურ-გეოგრაფიული აღწერილობებია წარმოდგენილი შუა საუკუნეების ეროვნული საეკლესიო ისტორიების დასაწყისებშიც და ამ მხრივ გამონაკლისი არც „ქართლის ცხოვრებაა“, მაგრამ, შესაძლოა, აქ მაინც გარკვეულ სპეციფიკაზე იყოს საუბარი. „ქართლის ცხოვრებაში“ განსაკუთრებით აქცენტირებულია სწორედ ტერიტორიული ასპექტი. ყოველი ეპონიმი ზუსტად განსაზღვრული ტერიტორიის (ზუსტი ტერიტორიული საზღვრები პოლიტიკური ერთეულის ნიშანი უფროა, ვიდრე ეთნიკურის) ფარგლებშია ჩასმული. ამიტომ „ძმების“ და „შვილების“ ურთიერთობა შესავალში პოლიტიკური ერთეულების ურთიერთმიმართების ასახვას უფრო გვაფიქრებინებს, ვიდრე ნათესაობის მიხედვით მათ დაჯგუფებას, თუმცა საერთო ნათესაობაზე სრულიად არაორაზროვნად უთითებს ავტორი, როდესაც ყველა კავკასიელ „ძმას“ ერთი მამის — თარგამოსის შვილებად რაცხს.

ვინ არის თარგამოსი? რომელ ისტორიულ თუ მითიურ ეთნოსთან აიგივებს მას ავტორი? როგორ ხედავს ავტორი თარგამოსის ადგილს ქართული ეთნოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პროცესში? ეს ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შუა საუკუნეების ქართველის ტერიტორიულ, ეთნიკურ, კულტურულ იდენტობაზე თუ მთელ საზოგადოებაში არა, მის ერთ ნაწილში მაინც.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ბიბლიის ტრადიციის, ისე შუა საუკუნეების ქრონიკების მიხედვით, თარგამოსი/თოგარმა ჩრდილოეთით განსახლებულ ხალხთა მამამთავარია. ბიბლიის მიხედვით, ის გომერის შვილი და იაფეთის შვილიშვილია (დაბადება 10: 2-5). ბიბლიური გადმოცემა ნოეს ძის იაფეთის მოდგმისა ასეთია:

იაფეთის ძენი: გომერი და მაგოგი, მადაი და იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი.

და გომერის ძენი: აშქენაზი, რიფათი, თოგარმა.

გარდა ამისა, ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ნათქვამია, რომ იაფეთის შთამომავალნი უკანასკნელ დღეებში ჩრდილოეთის კიდეგანიდან გამოვლენ, თავს დაესხმიან ისრაელს (ეზეკ. 38 და 39). წინასწარმეტყველებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია თოგარმას სახლის „ჩრდილოეთის კიდეგანიდან“ გამოსვლა: „და მოგატრიალებ შენ (ამბობს უფალი, ლ.პ.)... სპარსეთს, ქუშსა და ფუტს მათთან ერთად, ყველას ფართთა და მუზარადით, გომერს და მთელს მის რაზმს, თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდეგანიდან და მის ყველა რაზმს... (ეზეკ. 38: 5-6). მაშასადამე, ეზეკიელის წიგნის მიხედვით, თოგარმა ჩრდილოეთის ხალხის მამამთავარია. თოგარმას უფროსი ძე — გომერი კი ტრადიციულად იდენტიფიცირებულია კიმერიელებთან

(აქად. gimirru), ძვ. წ. VIII-VII სს. ევრაზიულ მოსახლეობასთან, რომლის განსახლების არეალია კასპიისა და შავი ზღვების ჩრდილოეთი, დუნაისა და ვისლას აუზები.

შუა საუკუნეების ეთნოსთა განსახლების შესახებ წარმოდგენების გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველთა მამამთავარი მის კავკასიაში მოსახლე „ძმებთან“ ერთად ავტორს თოგარმას ძედ წარმოედგინა. ადრექრისტიანულ ქრონიკებში თოგარმა იაფეთის შთამომავალია. ხოლო იაფეთიდან განსახლების ძირითადი არეალი არის ხმელთაშუაზღვიდან ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი: კავკასია, მცირე აზია, და მთელი ევროპა.

იაფეთის ძეთაგან მომდინარე ხალხთა ჩამონათვალი ადრექრისტიანული ქრონიკების შესავალში წარმოდგენილი „ნათესავთა წიგნის“ (**Liber Generationis**) მიხედვით ასეთია: კაპადოკიელები, გელტები და გალატები, მედები, ბერძნები და იონიელები, ეტალიელები, ილირიელები, თრაკიელები, მაკედონიელები, სარმატები, სავრომატები, არმენიელები და სხვანი [გეორგიკა 1961:12]. როგორც ვხედავთ, აქ სწორედ ხმელთაშუაზღვის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი რეგიონებია წარმოდგენილი.

ამას ემატებოდა ისიც, რომ არმენიელების წარმომავლობა თოგარმას სახლთან იყო დაკავშირებული და, შესაბამისად, სომეხთა თვითსახელწოდებაზე დაფუძნებული ეპონიმი — ჰაიკი სომხურ ტრადიციაში თოგარმას ძედ იყო მიჩნეული. მაგალითად, იპოლიტე რომაელის „ქრონიკის“ მიხედვით, თარგამოსის გენეალოგია ასეთია:

თირასი, საიდანაც არიან თრაკიელები.

კოტეგინი, საიდანაც არიან მაკედონიელები.

და გამერის ძენი: ასკანაზი, რომლისგანაც არიან სარმატები.

რიფანი, რომლისგანაც არიან სავრომატები.

თოგორმა, რომლისგანაც არიან არმენიელები.

და ძენი იუვანისნი: ელისან, საიდანაც მომდინარეობენ სიკულები; **თარსისი, რომლისგანაც არიან ჰიბერები, რომლებსაც აგრეთვე ტირენები [ეწოდებათ];** კითები, რომლისგანაც არიან რომაელები, რომელთაც აგრეთვე ლატინები ეწოდებათ... [გეორგიკა 1961:13-14].

შემდეგ, ოდნავ ქვემოთ არის იაფეთიდან მომდინარე ტომების ჩამონათვალი: მიდები, ალბანები, გარგანები, არრები, არმენები, ამაზონები, ხოლები, კორზიენები, ბენაგენები, კაპადოკიელები, პაფლაგონიელები, მარიანდელები, ტიბარენები, ხალიბები, მოსსვინოტები, კოლხები, სარმატები, სავრომატები, მეოთები, სკვითები... [გეორგიკა 1961:13-14].

იპოლიტეს „ქრონიკის“ სომხური ვერსია, რომელიც შესრულებულია VII საუკუნის პირველ ნახევარში [რაპი 1997:95] ჩამოთვლის შემდეგ ერთობებს (ხალხებს), რომლებიც იაფეთის მოდგმისანი არიან:

თირასის ძენი [იყვნენ]:
აშკანაზ და მისგან არიან წარმომდგარნი სარმატქ;
და რიფათ, რომლისგანაც სავრომატელნი;
და თორგომ, რომლისგანაც [არის] ჰაიკი;
და ჰავანის (იავანის) ძენი იყვნენ: ელიშა, და მისგან იყვნენ სიკელეჩიკ და
ათენაჩიკ;

და თაშიშ, რომლისგანაც მოდიან ვირქ [იბერიელები] ტურენაიკ – ში
და ესენი არიან მომდინარე ჰაბეთისგან [იაფეთისგან]... მარქ, აღუანქ
[ალბანელები], ლფინქ, აღანქ, ამაზონქ, დზილბქ, მასქურქ, ჰაიკ [სომხები],
ვირქ [ქართველები], გერაციქ [მეგრელები].²

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში ნათქვამია, რომ ეს თარგამოს იყო
ძე თარშისი ძისწული იაფეთისი [ქაუხჩიშვილი 1955:3]. ასე რომ, თოგარმას
გენეალოგია ქართული ვერსიით არ ემთხვევა არც ბიბლიურს, არც იპო-
ლიტეს ბერძნულ ვერსიებს.

„ქართლის ცხოვრება“: 1) ნოე, 2) იაფეთი, 3) თარში(ში), 4) თარგამოს,
5) ჰაოს და ქართლოს [ქაუხჩიშვილი 1955: 3].

ბიბლია: 1)ნოე, 2) იაფეთი, 3) გამერი, 4) თოგარმა

Liber generacionis (ბერძნ.): 1) ნოე 2) იაფეთი 3) გამერი 4) თოგორმა 5) არ-
მენიელები [გეორგიკა I:19-20].

იპოლიტე რომაელი (სომხური): 1) ნოე, 2) იაფეთი, 3) თირასი 4) თოგა-
რმა, 5) ჰაიკი [რაპი 1997: 97-98].

ევსები კესარიელი: 1) ნოე, 2) იაფეთი 3) გამერი, 4) თოგარმა (მისგან არი-
ან არმენიელები). [ევსებიუსი 1967:180-181].

მოგსეს ხორენაცი: 1) ნოე, 2) იაფეთი, 3) გამერი, 4) თირასი, 5) თოგორმა,
6) ჰაიკი [ხორენაცი 1084: 62]:

მაჩაბლისეული ნუსხის მსოფლიო ისტორია: 1) ნოე, 2) იაფეთ, 3) ავანან,
4) თარიშის, 5) თარგამოხ [ქაუხჩიშვილი 1955:012].

Liber generationis ასახელებს ასევე იბერიელებს, თარსისის შვილებს,
რომელთაც ასევე ტირენები ეწოდებათო.

თარსისი, რომლისაგან არიან ჰიბერები, რომლებსაც აგრეთვე ტირენები
[ეწოდებთ];

ტირენები (ბერძ. Τυρρηνοί, Τυρσανοί) — ეს არის ექსონიმი, რომელსაც
ხმარობენ ბერძნები არაბერძენი ხალხის მიმართ. ეს სახელწოდება ძირითა-

2 ციტატა მოყვანილია რაპის ინგლისური თარგმანის მიხედვით [რაპი 1997: 97]. როგორც
სტივენ რაპი უთითებს, იპოლიტეს სომხურ ვერსიაში ორჯერ არიან დასახელებული „ვირქ“.
ერთხელ, როგორც ვეროპის იბერიელები (თარშიშის შთამომავალნი), ხოლო მეორედ, რო-
გორც კავკასიური მოდგმა, ანუ როგორც ქართველნი. რაპის შენიშვნით, ამ მონაკვეთის
ბერძნულ დედაწიში, ანუ იპოლიტეს „ქრონიკაში“ ქართველები (მეორე კონტექსტი) არ არიან
მოხსენებული. აქედან ავტორი ასკვნის, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილში წარ-
მოდგენილი ქართლოსის გენეალოგიური სქემა იპოლიტეს ქრონიკის სწორედ სომხური ვერ-
სიიდან მომდინარეობს [რაპი 1997:97-98]. ეს ძალზე საყურადღებო დასკვნად მეჩვენება და
ვფიქრობ, ის სიმართლეს შეეფერება, რადგან სომეხთა ეპონიმის ჰაოსის ფორმით არსებობა
„ქართლის ცხოვრებაში“ სწორედ სომხური თვითსახელწოდებიდან მომდინარე „ჰაიკს“ შეე-
საბამება, ასეთი ფორმით კი სომხები (არმენიელები) ბერძნულ დედაწიში არ დასტურდება.

დად მიემართება ეტრუსკებს, ხალხს რომელთა სახელიც დაერქვა ტირენის ზღვას, [ეს ზღვა იტალიის დასავლეთ სანაპიროთი, სარდინიითა და კორსიკით შემოიფარგლება (სტრაბონი 5. 2. 2.). არსებობს ლეგენდა ეტრუსკების ლიდერი (ე.ი. აღმოსავლური) წარმოშობის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი მათ ხურიტულ და ხათურ წარმომავლობაზეც ლაპარაკობს. ძნელი სათქმელია, ამ ცნობის როგორ ინტერპრეტაციას მოახდენდა ქართველი ავტორი, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ტირენების შესახებ გლოსის მიუხედავად, მას ამ იბერების ქართველებთან გაიგივება მოეხდინა.

აქედან ხომ არ მომდინარეობს ქართლოსის გენეალოგია ქართლის ცხოვრებაში?

იპოლიტე რომაელის ქრონიკაში იბერთა ასეთი გენეალოგიაა: იაფეთი, იუვანი, თარსისი, ჰიბერები (იგივე ტირენები).

სომხურ თარგმანში ასეა: და თაშიშ, რომლისგანაც მოდიან ვირქ [იბერიელები] ტურენიკში.

თუ ქართლის ცხოვრების შესავლის ავტორმა სწორედ ეს იბერები მიიჩნია ქართველების აღმნიშვნელად, აქედან გაჩნდებოდა თარგამოსის გენეალოგიაში „ძე თარშისი“. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რატომ მან „იბერთა“ გენეალოგია პირდაპირ არ გადმოიტანა წყაროდან და ის სომეხთა ეპონიმს ჰაოსს და მის მამას თოგორმას დაუკავშირა? როგორც ჩანს, მას სურდა, რომ სომეხთა და ქართველთა ეპონიმები „ძმები“ უოფილიყვენ, ამიტომ თოგარმა/თარგამოსი არა გამერის ძედ, არამედ „თარშის“ — თარსისი/თაშიშ (ბიბლიური თარშიში) ძედ გამოაცხადა, ხოლო ქართლოსი და ჰაოსი — ორივე თარგამოსის შვილებად და შესაბამისად ძმებად წარმოაჩინა.

[დამაფიქრებელია მაჩაბლისეული ნუსხის მსოფლიო ისტორიის სქემაც, სადაც თარგამოსის წინაპრებად იავანი და თარშიში გამოდიან: 1) ნოე, 2) იაფეთ, 3) ავანან, 4) თარიშის, 5) თარგამოზ. ბიბლიაში თარშიში სწორედ იავანის ძეა, ეს უკანასკნელი კი — იაფეთისა. ოღონდაც თოგარმა არა თარშიშის შვილია (როგორც მაჩაბლისეული ხელნაწერის მსოფლიო ისტორიაში და „ქართლის ცხოვრებაში“), არამედ — გამერისა.

როგორც დავინახეთ, ავტორის ერთადერთი წყარო ბიბლია არ არის. ის მის ხელთ არსებული ისტორიული ქრონიკებით (შესაძლოა, ეს იპოლიტეს ქრონიკის სომხური თარგმანიც უოფილიყო) სარგებლობდა. სადაც მითითებულია, რომ სომეხთა მოდგმა თარგამოსიდან მომდინარეობს, ხოლო „იბერთა“ მოდგმის მამამთავარი თარსისი/თაშიშია. ჩანს ისიც, რომ შესავლის ავტორს აქვს თარგამოსის სახლის საკუთარი კონცეფცია და ამ კონცეფციას ის უხამებს ბიბლიურ და ქრისტიანულ წყაროებს ხალხთა წარმომავლობის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, „ქართლის ცხოვრების“ შესავლის ეთნო-გენეტიკური სქემა გვეუბნება, რომ ქართლს და მასთან ერთად კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს ავტორი ჩრდილოეთის ხალხების რიცხვს მიაკუთვნებს. საქართველო რომ ჩრდილოეთის ხალხთა რიცხვში იყო ჩათვლილი, ეს თვით მისი სახელწოდებიდანაც ჩანს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ნინოს ცხოვრება“ ქართლს მოიხსენიებს როგორც „ქვეყანაჲ ჩრდილოჲსაჲ“ [აბულაძე 1964].

კორნელი კეკელიძეს აღნიშნული აქვს, რომ ამიერკავკასიას სირიელები „ჩრდილოეთს“ ეძახდნენ. 552-555 წწ-ში შედგენილი პტოლემეოსის გეოგრაფიის სირიულ ვერსიაში ნათქვამია: „ჩრდილოეთ ქვეყანაში ხუთი ქრისტიანი ერი ცხოვრობს: სომხები, ქართველები, სიუნიელები, ალანები და ბაზგუნები“. აქედან მეცნიერი ასკვნის, რომ ქართლი და ზოგადად კავკასია, ძველ სემიტთა წარმოდგენით, იყო ჩრდილო ქვეყანა [კეკელიძე 1957:258].

სრულიად სამართლიანად შენიშნავს რისმაგ გორდუხიანი, რომ ლეონტი მროველის სქემა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამით ჰგავს მოსე ხორენელის სომხეთის ისტორიის შესავალში მოცემულ სქემას (ამ ორ თხზულებაში ბევრი ანალოგიური და საერთო ცოდნა დასტურდება), ლეონტი მროველის (ჩვენთვის შესავლის ავტორის) კონცეფცია კავკასიის მასშტაბისაა, ხოლო მოსე ხორენელისა კი — ოდენ სომხური ეთნოსისა. მკვლევარი წერს:

„მიუხედავად სომხური წყაროების აშკარა გათვალისწინებისა, ლეონტი მროველის თხზულება ძირითადად სხვა ტრადიციას ეფუძნება. მისი ხალხთა ნუსხა ორიენტირებულია თარგამოსზე, როგორც კავკასიელ ხალხთა მამამთავარზე და არა ჰაოსზე... „ქართლის ცხოვრებას“ აინტერესებს წარმოაჩინოს კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა თავდაპირველი გენეტიკური ნათესაობის იდეა, მაშინ როდესაც ეს მომენტი სომხურ ტრადიციაში სავსებით უწყურადღებოდ არის დატოვებული“ [გორდუხიანი 1993:9].

თოგარმას ეპონიმ-შვილთა ქართულის ანალოგიური სქემა (ქართული ვარიანტის გათვალისწინებით ან გაუთვალისწინებლად) წარმოიშვა ხაზართა სახელმწიფოშიც. არსებობს X საუკუნის ე. წ. ებრაულ-ხაზარული მიმოწერის წიგნი, სადაც იოსები ხაზართა მეფე წერილს სწერს კორდოვას ხალიფას თანაშემწეს, იუდეველ ხასდაის. ამ წერილში ნათქვამია, რომ ხაზარები მოდიან იაფეთის ძეთაგან და თოგარმას შტოდან. ხაზართა მეფე იოსები იმოწმებს „წინაპართა გენეალოგიურ წიგნებს“ და ამბობს, რომ თოგარმას ათი შვილი ჰყავდაო. შემდეგ მათ სახელებსაც ჩამოთვლის (Ujur, Tauris, Avar, Uauz, Bazil, Tarna, Khazar, Janur, Bulgar, Sawir). ამ სახელებში შავი და კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლე ხალხთა ეპონიმები ამოიცნობა (ხაზარული კორესპონდენცია). როგორც ქართველი, ისე ხაზარი ავტორი ერთი ლოგიკური სქემით ხელმძღვანელობს. ერთი მხრივ, მათ იციან ჩრდილოეთის ხალხთა წინაპრის შესახებ ბიბლიური ტრადიცია, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ წინაპრის შვილებად აცხადებენ საკუთარი ეთნოგენეალოგიური ცოდნის საფუძველზე შედგენილ ეპონიმთა სიას.

რისმაგ გორდუხიანს მიაჩნია, რომ თარგამოსის სახე „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციაში ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს სამხრეთ კავკასიაში წინარე სომხური მოსახლეობისა. ის ფიქრობს, რომ შესაძლოა არსებულიყო ძველი — „დინასტიური, ზეპირი თუ წერილობითი“ ტრადიცია, რომელიც „ხანგრძლივი ტრანსფორმაციის შედეგად“ აისახა „ქართლის ცხოვრებაში“. ამ ტრადიციაში მკვლევარი თარგამოსის გაბიბლიურებულ ფიგურას ისეთ მითოლოგიურ-ლეგენდარულ პერსონაჟთან აიგივებს, რო-

მელიც ურარტუს სამეფოს განსახიერება თუ გამოძახილი უნდა ყოფილიყო [გორდუზიანი 1993:6-10].

ასეთ ვარაუდს, ვფიქრობ, მხარს უჭერს თავად შესავლის მემკვიდრეობითი სქემის კონცეფცია, რომლის მიხედვით, მამის ადგილს უფროსი და უძლიერესი შვილი იკავებს. თავის სტატიაში „ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა“ ზაზა ალექსიძემ განიხილა „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი და აჩვენა, თუ როგორი ლოგიკური წყობით ააგო ავტორმა ის კოსმოგრაფიული სურათი, რომელიც აქ არის წარმოდგენილი [ალექსიძე 1991:79-83]. ზაზა ალექსიძე ამტკიცებს, რომ ავტორს აქვს თავისი შეხედულება მემკვიდრეობის უფროს ვაჟზე გადასვლის შესახებ. ამ პრინციპს ის თარგამოსის შვილებზეც ავრცელებს. მისი კონცეფციის თანახმად, ჰაოსი, თარგამოსის უფროსი ვაჟი, მამის ადგილს იკავებს — სატახტო ქალაქს და სამეფოს უდიდესსა და საუკეთესო ნაწილს; მცხეთოსი უფროსი ვაჟია ქართლოსისა და ისიც მამის ადგილზე ზის და სამეფოს უდიდეს ნაწილს იკავებს. ამასვე ამბობს ავტორი მცხეთოსის უფროსი ძის უფლოსის შესახებ. გამოდის, რომ შესავლის ავტორს ჰაოსი (სომეხთა ეპონიმი) ისეთი პოლიტიკური გაერთიანების ეპონიმის მემკვიდრედ გამოჰყავს, რომლის ტერიტორიულ და პოლიტიკურ მემკვიდრედაც სომხეთის სამეფო მიაჩნია. ძნელი სათქმელია რა ინფორმაცია გააჩნდა შესავლის ავტორს ურარტუს სახელმწიფოებრივი გაერთიანების შესახებ, მაგრამ მისი თხზულების ლოგიკა სწორედ ამგვარი დასკვნისკენ გვიბიძგებს.

ურარტუს დაცემა და კავკასიაში არმენებისა და ჰაიების ტომთა პოლიტიკური გაძლიერება მართლაც შესაძლებელია, რომ მითურ-ისტორიული ენით, როგორც მამა-შვილის მემკვიდრეობითი მონაცვლეობა გამოხატულიყო. როგორც ცნობილია, დაახლოებით 600 წელს ურარტუ დალაშქრეს სკვითებმა, კიმერიელებმა და მათმა მოკავშირე მიდიელებმა. 612 მიდიელთა მეფე ჭიაქსარი იპყრობს ასურეთს. ვარაუდობენ, რომ ამ დროს მიდიელთა დახმარებით ურარტუში მოხდა სამეფო გადატრიალება და არმენიელების ადგილობრივმა დინასტიამ, გვიანი სახელწოდებით ორონტიდებმა, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. სამაგიეროდ კი ეს უკანასკნელნი მიდიელებს დაეხმარნენ ასირიის დაპყრობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ახ. წ. VIII საუკუნისათვის, როცა შესავლის ავტორი ქრისტიანულ წყაროებში დამკვიდრებული ტრადიციის შესაფერის ეთნოგენეტიკურ სურათს იძლევა, მას იმავდროულად აქვს კიდევ რაღაც ცოდნა, ტრადიცია (წერილობითი ან ზეპირი), რომელსაც ის ქართველთა ეთნოგენეზს უკავშირებს და რომლის შეთანხმებასაც ის ამ წყაროებთან ცდილობს.

ამის კიდევ ერთი მაგალითი, ალბათ, არის შესავალში ის ეპიზოდი, სადაც თარგამოსის ძეგბი — ჰაოსი, ქართლოსის და სხვათა ნებროთის წინააღმდეგ გამართული ბრძოლაა გადმოცემული [ჯაუხჩიშვილი 1955:6-7]. იგივე სიუჟეტი დამუშავებული აქვს მოვსეს ხორენაცის. ოღონდ მასთან ჰაიკი ებრძვის ბელს [ხორენაცი 1984:62]. აქაც სწორედ ასეთი ადრეული წარმომავლობის მითის გადააზრებასთან თუ „გაბიბლიურებასთან“ გვაქვს საქმე.

რას წარმოადგენს თარგამოსიანთა ნებროთის/ბელის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დამარცხების ქართული და სომხური ვერსიები? რა არის

ეს, თუ არა ერთობის იმპერიისგან ემანსიპაციის მითი? რა ერქვა თარგამოსს და რა იყო ნებროთის სახელი, სანამ ამ მითს ბიბლიურ-ქრისტიანული ნომენკლატურა ჩაანაცვლებდა? — ძნელი სათქმელია. თუმცა გარკვეულ პოლიტიკურ თუ ეთნიკურ კატაკლიზმათა გამოძახილი შესაძლოა ამ მითში ვივარაუდოთ. რადგან ჩვენ თარგამოსში ურარტუს მითოლოგიზებული სახე ამოვიცანით, თარგამოსის (მისი ძეების სახით) ბრძოლა ნებროთთან ანუ აღმოსავლეთის უდიდეს სახელმწიფო გაერთიანებასთან რა უნდა იყოს, თუ არა ასურეთისა და ურარტუს პოლიტიკურ იდენტობათა შეჯახების მითოლოგიური გადმოცემა. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ახლო აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის წყაროდ წარმოვიდგინო. მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ შესავლის ავტორს თავისი კონცეფცია აქვს ქართლისა და მისი წინარე ერთობის ისტორიის ძირითადი პერიოდების შესახებ, და ამ კონცეფციის ჩამოყალიბებაში მას ეხმარება მის ხელთ არსებული წყაროები: იქნება ეს უცხოური წყაროები თუ ადგილობრივი ზეპირი ტრადიცია და წერილობითი ისტორიოგრაფია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი კავკასიის ხალხთა ისტორიაში, შესავლის კონცეფციის მიხედვით, არის *შემოსვლა ხაზართა*. გიორგი მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მათიანეში იგულისხმება სკვითებისა და კიმერიელების შემოჭრა კავკასიაში ძვ. წ. VIII-VII სს-ში. მკვლევარი ხაზართა ხსენებას ამ გეოგრაფიულ არეალში ქართული ცნობისთვის დამატარიღებელ მნიშვნელობას ანიჭებს და ამბობს, რომ ახ. წ. VII-VIII სს-ში ხაზართა გახშირებული შემოჭრის შედეგად „ხაზარი“ უკელა ჩრდილო კავკასიელი ხალხის საზოგადოდ სახელად იქცა [მელიქიშვილი 1959: 35]. *ქართლის ცხოვრების* შესავლის შესწავლისა და მცირე აზიაში სკვითურ-კიმერიული შემოსევების შესახებ ჰეროდოტეს ცნობებთან და ასურულ წყაროებთან შეპირისპირების შედეგად ესპანელი მეცნიერი აუგუსტო ი ვილამაჯო მივიდა დასკვნამდე, რომ ქართულ წყაროში დასტურდება ძველი ადგილობრივი ზეპირი ტრადიცია, რომელიც ეხება პრეისტორიულ მომთაბარე ირანული წარმომავლობის ტომების დიდ მიგრაციას კავკასიაში [ვილამაჯო 1997].

ის, რაც განსაკუთრებულ აღმოსავლურ „სურნელს“ ანიჭებს ამ შესავალს, არის სპარსეთის ისტორიის მოკლე გადმოცემა. როგორც ჩანს, შესავლის ავტორი თვლიდა, რომ ქართლის სამეფოს ისტორია, ანუ საკუთრივ ქართველ მეფეთა ცხოვრება სპარსეთის ისტორიის კონტექსტის გარეშე არასრული იქნებოდა და მას სპარსული მეფეთა ცხოვრების ფალაური თუ არაბული კომპენდიუმის საფუძველზე შედგენილი სპარსეთის ისტორიულ-ლეგენდარული ციკლი წარუმძღვარა³.

„ქართლის ცხოვრების“ შესავალი შეიცავს ასევე ფსევდო-კალისტენეს *ალექსანდრიანის* მიხედვით ჩამოყალიბებულ ცოდნას ელინისტური იმპე-

3 „ქართლის ცხოვრების“ „სპარსული სურნელის“ და შესავლის სპარსულ-არაბული წყაროების შესახებ წერს სტივენ რაპი თავის მოხსენებაში „The Land of Heroes and Giants“: Recovering the Iranian Heritage of Medieval Georgia. At the conference „Georgia: The Making of a National Culture“ The University of Michigan, May 2008. Summary. იხ. მისივე სადისერტაციო ნაშრომი [რაპი 1997:136-219].

რიის წარმოშობისა და მისი ფარგლების შესახებ, რომელიც შუა საუკუნეების გეოგრაფიული შესავლის ტრადიციებში ჯდება.

მაშასადამე, შესავლის კომპოზიციური სქემა იმავდროულად ქართული ერთობის უძველესი ისტორიის პერიოდიზაციის ცდაა, სადაც მოვლენათა დაახლოებით ასეთი თანამიმდევრობა დასტურდება:

- 1) თარგამოსის (სავარაუდოდ ურარტუს გამითიურებული სახის) ემანსიპაცია ნებროთისაგან (სავარაუდოდ, ასურეთის იმპერიის მითოლოგიზებული სახისაგან),
- 2) თარგამოსის წიადში რვა ძმის (კავკასიელ ხალხთა) ჩამოყალიბება.
- 3) შემოსვლა ხაზართა (სკვითურ-სარმატული ნაკადის კავკასიაში შემოჭრის გამითიურებული ვერსია).
- 4) სპარსეთის მეფეთა ციკლი — ირანულ-აქემენიდური ხანა.
- 5) შემოსვლა ალექსანდრესი — ელინისტური ხანის დასაწყისი.

ამ პრეისტორიულ სურათში თარგამოსი (ურარტუ?) ყველა კავკასიელი ხალხის (ოვსთა გარდა, რომლებიც „ხაზართა“ შემოსევების შედეგად დამკვიდრებულან კავკასიის ქედის ჩრდილოეთით) წინაპრად არის წარმოდგენილი. ის „ჩრდილოეთის სახლის“ მამათავარია. ხოლო ამ სახლში შედის რვა ძმა: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი მოვაკან, ჰეროს, ეგროს, ლეკან და კავკას. ამ ძმთაგან ჰაოსი უფროსია და, შესაბამისად, მამის ადგილს იკავებს მისი სიკვდილის შემდეგ, ხოლო დანარჩენები კი კიდევ უფრო ჩრდილოეთით დარჩენილ ტერიტორიას ინაწილებენ.

II

საიდან მოდის „ქართლის ცხოვრების“ შესავლის ავტორის ეთნოგენეალოგიური ცოდნა? ვფიქრობ, ძირითადად, ისევ და ისევ ქართლის ცხოვრებიდან (როგორც დავინახეთ, არც სხვა, „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციის გარეთ არსებული ზეპირი თუ წერილობითი ცნობების გამოორიცხვა შეიძლება). შესავალში დასახელებული თითქმის ყველა ეპონიმი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ეთნოპოლიტიკურ სურათს ეყრდნობა. შესავლის კონცეფციის მიხედვით, კავკასიაში ტოლფარდი პოლიტიკური ერთეულები (ჰაოს, ქართლოს, ჰეროს, ეგროს, ბარდოს, მოვაკან, ლეკან, კავკას) ძმებად არიან წარმოდგენილნი, ხოლო დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ერთეულები (მცხეთოს, კახოს, კუხოს, გარდაბოს, გაჩიოს; და უფრო დაბლა — უფლოს, ოძრხოს, ჯავახოს) — შვილებად.

იძლევა თუ არა საშუალებას „ქართლის ცხოვრების“ (მეფეთა ცხოვრებების ნაწილი) მონაცემები, რომ კავკასიის ხალხთა და ქართლის სამეფოს სწორედ ამგვარი ეთნოგენეტიკური მოდელი წარმოედგინა შუა საუკუნეების (დაახლოებით VIII ს-ის ბოლოს) ავტორს? ვფიქრობ იძლევა. და აი, რატომ:

„ქართლის ცხოვრების“ შესავალში ქართლის სამეფოსა და კავკასიის რეგიონის ეთნოგენეტიკურ სქემას ავტორი ბიბლიურ ისტორიას უკავშირებს.

ამიტომ, ცხადია, ჩნდება ცდუნება ვიფიქროთ, რომ ავტორი ამით მის დროს არსებული ვითარების საკრალიზაციას ახდენს, ანუ ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენს, როგორც საკრალურს და მაშასადამე ლეგიტიმურს. ასეთ შემთხვევაში შესავალში ნაჩვენები ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი თხზულების დამათარილებელიც უნდა იყოს: რა დროის ტერიტორიულ-პოლიტიკური ვითარებაცაა ასახული შესავალში, იმ დროს დაიწერა ის. როდესაც თავის „ისტორიულ-გეოგრაფიულ ნარკვევებში“ დავით მუსხელიშვილმა განიხილა შესავალში დადასტურებული ქართლის ტერიტორიული საზღვრები, დაასკვნა, რომ „ძირითადად“ ისინი ელინისტური ხანის დასაწყისის რეალურ-ისტორიულ სურათს შეესაბამება. ის გეოგრაფიული სიტუაცია არ არის არც VIII საუკუნის და, მით უმეტეს, არც XI საუკუნის ქართლის პოლიტიკური სურათი. არადა შესავალს (და მკვლევართა დიდ უმრავლესობას შესავალი და მეფეთა ცხოვრება ერთ თხზულებად აქვთ წარმოდგენილი) ეტყობა, რომ ეს არ არის არც წინაქრისტიანულ და არც ადრექრისტიანულ ხანაში შეთხზული ძეგლი — ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია. ამის საბუთად გამოდგება თუნდაც მისი აშკარად ქრისტიანული წარმომავლობის წყაროები, ეპონიმ-ეთნონიმები (ხაზარები, ბარდოსი) და სხვა. რჩება ერთადერთი შესაძლო ვარიანტი: ავტორი გარკვეულ უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით და, რაც მთავარია, ადგილობრივი ისტორიოგრაფიული ტრადიციის („მეფეთა ცხოვრება“) და სხვა ზეპირი ან წერილობითი ტრადიციის საფუძველზე ახდენს, მისი აზრით, უძველესი ხანის ისტორიული და ტერიტორიულ-ეთნიკური სურათის რეკონსტრუქციას.

შესავლის ავტორის დაკვირვების საგანი რომ „მეფეთა ცხოვრება“ და სწორედ აქედან რომ საზარდოობს ის, როგორც კავკასიის, ისე საქართველოს ეთნოგენეტიკური სქემის შედგენის დროს, შემდეგი მაგალითებიდან ჩანს:

1

როცა მირიანს მთელი კავკასიის გამგებლად ასახელებს მემატიანე, მის საგამგეო ტერიტორიებსაც ჩამოთვლის. აი, როგორ გამოიყურება ეს ჩამონათვალი: *მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს.* [უახხიშვილი: 1955:65]. ამ ჩამონათვალს ზუსტად ემთხვევა შესავალში მოცემული სამხრეთ კავკასიის ეთნონიმთა ჩამონათვალი:

- ქართლოს = ქართლი
- ჰაოს = სომხითი
- ბარდოს = რანი
- ჰეროს = ჰერეთი
- მოვაკან = მოვაკანი
- ეგროს = ეგრი

„მირიანის ცხოვრებაში“ კიდევ არის სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ჩამონათვალი, რომლითაც ასევე ისარგებლებდა შესავლის ავ-

ტორი. „და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოგაკანს ზედა მოურთეს“ [ჯაუხჩიშვილი: 1955:67] ან „და მეფობდა მირეან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოგაკანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე“ [ჯაუხჩიშვილი 1955:70]. პირველ შემთხვევაში გამორჩენილია ეგრისი, მეორეში აკლია სომხითი. ყოველ შემთხვევაში, ეს სამი მონაკვეთი მირიანის ცხოვრებიდან სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ შესავლის ავტორს სამხრეთ კავკასიის ეპონიმიტა სია ჩამოეყალიბებინა. მხოლოდ რანის სახელწოდება შეუცვლია შესავლის ავტორს და მის წინაპარს არა „რანოს“, არამედ „ბარდოს“ დაარქვა. ეს ბუნებრივია, თუ გვითვალისწინებთ, რომ ალბანეთის სატახტო ქალაქი ახ. წ. V საუკუნიდან არის ქალაქი ბარდავი. ამიტომ ავტორმაც დედაქალაქის სახელი არჩია ეპონიმიტის აღსანიშნავად (შეადარე მისივე ოძრხოს, მცხეთოს და სხვ.).

2

შესავლის ავტორი ქართლოსის ძმებად მიიჩნევს ჰეროსს და ეგროსს — იმ ეთნიკურ ერთეულთა ეპონიმიტს, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე (ვახტანგ გორგასლის ხანიდან დაწყებული, ქართლის სამეფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლამდე) ქართლის სახელმწიფოში შედიან ან ექვემდებარებიან მას. მოსალოდნელი იყო, რომ ავტორს ისინი ქართლოსის ძეებად წარმოედგინა. ეგროსის შესახებ დ. მუსხელიშვილი ასეთ შენიშვნას აკეთებს:

მისივე (იგულისხმება ლეონტი მროველი) ეთნოლოგიური კონცეფციის თანახმად, ეგროსი, მეგრელთა ეთნარქ-ეპონიმი, ისეთივე ძმაა ქართლოსის — აღმოსავლელ ქართველთა მამამთავრისა, როგორც ჰეროსი ან ლეკანი, რომლებიც, თავის მხრივ, ალვანელთა და დაღესტნელთა ეთნარქებს წარმოადგენენ და მთელი მისი თხზულების მანძილზე (მუსხელიშვილის დაკვირვებით, „გორგასლის ცხოვრებიდან“ მოყოლებული, ჰერეთი უკვე ქართლის შემადგენელი ნაწილია. ლ. პ.) პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლის თანასწორ ერთეულებს განასახიერებენ. ეგროსი კი, მიუხედავად იმისა, რომ ქართლოსის ძმაა, მთელი მისი თხზულების მანძილზე ქართლის ერთ-ერთი საერისთაოს — ეგრისის განსახიერებაა [მუსხელიშვილი 1977:77-78].

მკვლევარის გაცეხებას იწვევს ლეონტის კონცეფციაში შესავალსა და დანარჩენ ნაწილში ეგრისის სტატუსის გაორება⁴: შესავალში ქართლოსი და ეგროსი ძმები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ტოლფარდ პოლიტიკურ ერთეულებად მიაჩნია ავტორს; ხოლო დანარჩენ ნაწილში ეგრისის დაქვემდებარება ქართლისადმი სრულიად აშკარაა: ეგრისი ყველგან ქართლის ერთ-ერთ საერისთავოდ წარმოგვიდგება. როგორ უნდა აიხსნას შესავლის ავტორის კონცეფცია? რა წყაროს ეყრდნობა ის, როდესაც ამ ორ ეთნონიმს თანაბარუფლებიან ერთეულად აცხადებს? შესავლის ავტორს,

4 დავით მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი და „მეფეთა ცხოვრება“ „ვიდრე ვახტანგისამდე“ ლეონტი მროველს ეკუთვნის (ემხრობა ტრადიციულ შეხედულებას).

როგორც დავინახეთ, „მირიანის ცხოვრებით“ უსარგებლია. გარდა ამისა, ეგრისის შემთხვევაში ის ეცდებოდა „ფარნავაზის ცხოვრების“ მონაცემთა გათვალისწინებასაც, რადგან შესავლის ავტორის მიზანი ფარნავაზამდელი სიტუაციის რეკონსტრუქცია იყო. „ფარნავაზის ცხოვრებაში“ კი ავტორი აუცილებლად ამოიკითხავდა იმ ინფორმაციას, რომ ფარნავაზი და ქუჯი თავდაპირველად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ. „ფარნავაზის ცხოვრების“ ერისთავთა ჩამონათვალში ქუჯი ერთადერთი ერისთავია, რომელსაც ფარნავაზი კი არ „გზავნის“ მის საერისთაოში, არამედ მხოლოდ აღიარებს მას ასეთად, რადგან ეგრისი ქუჯის მანამდეც ეკუთვნოდა [ქაუხჩიშვილი 1955:22-24]. გავიხსენოთ ქუჯის სიტყვები ფარნავაზის მიმართ: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი“. ცხადია, ქუჯი ნებაყოფლობით იღებს თავის თავზე ფარნავაზის სამსახურს. ამიტომ სრულიად ლოგიკურია ავტორის დასკვნაც: ქართლის სამეფოს შექმნამდე ქართლოსი და ეგროსი (ფარნავაზი და ქუჯი ?) თანაბარი უფლების დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები იყვნენ. ამიტომაც ისინი ძმებად შერაცხა შესავლის ავტორმა.

მნიშვნელოვანია შესავლის სქემა ჰერეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხთან დაკავშირებითაც. დავით მუსხელიშვილი თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ გამოკვლევებში აღნიშნავს, რომ ჰერეთის ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში და მისი ეთნოკულტურული ასიმილაცია ვახტანგ გორგასლის დროს დასრულებულ სახეს იძენს. სრულიად ადეკვატურია ამ პროცესისა „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებიც. ისევ დავით მუსხელიშვილის შენიშნულია, რომ, თუ „ლეონტი მროველთან“ (იგულისხმება დასაწყისიდან ვახტანგ გორგასლის ცხოვრებამდე) ქართლი და ჰერეთი ტოლფარდი პოლიტიკური ერთეულებია, ხოლო ჯუანშერის თხზულების (ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და შემდგომი ხანის ისტორია არჩილის ცხოვრებამდე) მიხედვით, ჰერეთი ქართლის ერთ-ერთი ხევია, ანუ მისი შემადგენელი ნაწილია [მუსხელიშვილი 1966:92-93; მუსხელიშვილი 1999:72-87]. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრება“ მასში აღწერილ მოვლენათა თანადროულ გეოპოლიტიკურ სურათს აჩვენებს. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიის წერის განგრძობად ტრადიციასთან (სამწუხაროდ, თავად დავით მუსხელიშვილი, რომელსაც აღნიშნული დაკვირვებები ეკუთვნის, თავისსავე დაკვირვებებს „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის კვლევისას არგუმენტად არ მიიჩნევს). მაგრამ ამ კონტექსტში ისმის კითხვა: თუ შესავლის ავტორი მერვე საუკუნის ბოლოს მოღვაწეობს, განა მან თავისი დროის ადეკვატური ტერიტორიულ-პოლიტიკური კონცეფცია არ უნდა წარმოადგინოს? რატომ არიან მასთან ძმებად ანუ ტოლფარდ პოლიტიკურ ერთეულებად გამოყვანილი ქართლოსი და ჰეროსი? როგორც უკვე ვთქვი, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიკოსთან, რომელიც ცდილობს, ისევ და ისევ „მეფეთა ცხოვრებაზე“ დაყრდნობით,

„პრეისტორიული“ სურათი ჩამოაყალიბოს. „მეფეთა ცხოვრების“ უძველესი პერიოდის ამსახველი ნაწილის, „ფარნავაზის ცხოვრების“ მიხედვით კი, ქართლის სამეფოს უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე კახეთის საერისთავო ვრცელდება „ჭერეთამდე“: „და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვითგან ვიდრე ჭერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“.

აქედან ადვილად დაასკვნიდა შესავლის ავტორი, რომ ჭერეთი (რომელიც მის დროს კარგა ხნის ინტეგრირებულია ქართლის სამეფოშიც და, საერთოდ, ქართულ კულტურულ ერთობაშიც) უწინ ქართლში არ შედიოდა.

4

„მეფეთა ცხოვრებაში“ საერისთავოთა რამდენიმე ჩამონათვალია: „ფარნავაზის ცხოვრებაში“, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, „არჩილის ცხოვრებაში“. მიუხედავად იმისა, რომ შესავალში მოცემული ეპონიმა ნუსხა, განსაკუთრებით, ქართლოსის შვილთა და შვილიშვილთა ჩამონათვალი მათი კუთვნილი მიწა-წყლის საზღვრების მითითებით აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას იჩენს „მეფეთა ცხოვრების“ ყველა ამ ჩამონათვალთან, მაგრამ ზუსტად ის არც ერთ მათგანს არ იმეორებს. ვფიქრობ, შესავლის ავტორი ამ შემთხვევაშიც ითვალისწინებს არსებულ ტრადიციას, მის ხელთ არსებულ მონაცემებს ადარებს ერთმანეთს და ასე იქმნის წარმოდგენას მეფობამდელი ქართლის ტერიტორიული მოწყობის შესახებ. მაგალითად:

შესავალში ეგროსის წილი „ჭეუქანა“ ასეა განსაზღვრული:

„ხოლო ეგროსს მისცა ჭეუქანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი; დასავლით — ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხახარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი“ [ჯაუხჩიშვილი 1955:5].

ფარნავაზის ცხოვრების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში გამოყოფილია ორი საერისთავო; ერთი არგვეთის (მარგვის) და მეორე ქუჯის სამფლობელო – ეგრისი:

„ხოლო ეგრის წყალს ჭუემოთ დარჩა ბერძენთა... და მისცა ქუჯის ეგრის წყალსა და რიონს შუა ზღვითგან მთამდე...“

ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე „ზღუარადმდე ეგრისისა“ რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი შორაპანი და დიშნა [ჯაუხჩიშვილი 1955:24].

თუ ამ ორ ტექსტს ერთმანეთს შევადარებთ, აშკარა განსხვავებებს დავინახავთ. შესავალში ეგროსის წილი არის მთელი დასავლეთი საქართველო ლიხის მთიდან ზღვამდე; ხოლო ჩრდილოეთი საზღვარი არის მდინარე მცირისა ხახარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ფარნავაზის ცხოვრებაში ეგროსის წილი მთლიანად ეგრისის საერისთავოს როდი უჭირავს. აქ არის მარგვის საერისთავო, და შემდეგ უფრო დასავლეთით ეგრი-

სის საერისთავო. განსხვავებულია ჩრდილოეთის საზღვარიც. თუ ეგროსის წილი კავკასიონის ქედის შავ ზღვასთან მიახლოების წერტილამდე „მდინარემდე დიდისა ხაზარეთისა“ გრძელდება, „ფარნავაზის ცხოვრებაში“ მისი საზღვარი ეგრის წყალია (დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით დღევანდელი დალიძეა). მაშ როგორ და სარგებლობდა შესავლის ავტორი ფარნავაზის ცხოვრებით?

ჯერ რაც შეეხება მარგვის საერისთავოს: „ფარნავაზის ცხოვრებიდან“ აშკარად ჩანს, რომ მარგვის საერისთავო ფარნავაზის შექმნილია, რადგან აქ ცალსახად მითითებულია, რომ ამ საერისთავოს საზღვრის მცველი ციხეები შორაპანი და დიშნა ფარნავაზმა ააგო. ამიტომ შესავლის ავტორი იოლად დაასკვნინდა, რომ მარგვის საერისთავოს დაარსებამდე ლიხის ქედი იქნებოდა საზღვარი ქართლოსისა და ეგროსის წილ მიწა-წყალს შორის.⁵

ახლა, რაც შეეხება ჩრდილოეთის საზღვარს. ფარნავაზის ცხოვრების მიხედვით ეგრისის საერისთავო მხოლოდ ეგრის წყლამდე ვრცელდებოდა. რატომ მოჰყავს შესავლის ავტორს სხვა გეოგრაფიული მაჩვენებელი? ალბათ ავტორს ასე უნდა ემსჯელა: „ფარნავაზის ცხოვრება“ გვეუბნება ასეთ ფრაზას: *ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა*. სიტყვა დარჩა თითქოს ხაზს უსვამს, რომ ბერძენებს დარჩათ რაღაც იქიდან, რაც ეგრისის საზღვრებში უნდა ყოფილიყო. აქედან დაასკვნინდა ავტორი, რომ ფარნავაზამდე ეგრისის ჩრდილოეთი საზღვარი ეგრის წყალზე უფრო შორს იქნებოდა გაწეული. მაგრამ სადამდე? აქ ავტორი უკვე არჩილის ცხოვრების მონაცემებით ისარგებლებდა. არჩილის ცხოვრებაში ლეონ აფხაზთა ერისთავი არჩილ მეფის ვასალად შედგომის დროს მოხაზავს თავის საერისთავოს (ე.ი. აფხაზეთის საერისთავოს) ფარგლებს:

„ხოლო ამიერთგან არს ესე მამულობით სამკვიდრებულ ჩემდა კლი-სურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა წასწუდების წუერი კავკასიისა ამის“ [ჯაუხჩიშვილი 1955:242].

მართალია, ხსენებულ კონტექსტში არა ეგრისის სამეფო, არამედ აფხაზეთის საერისთავოა ნახსენები, მაგრამ კულტურულ და ტერიტორიულ-პოლიტიკურ მონაცემთა გათვალისწინებით, ეს ორი ეთნონიმი სრულიად ჩანაცვლებადი ცნებები შეიძლება ყოფილიყო შესავლის ავტორისთვის. და მანაც, ბუნებრივია ეგრისის საერისთავოს უძველეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად აფხაზეთის საერისთავოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მიიჩნია.

5 როგორც ცნობილია, არგვეთის ტერიტორიის უკიდურეს დასავლეთ საზღვარს ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს აგებული ციხეები შორაპანი და დიშნა იცავდნენ. ამ ციხეებს ქართლისა და ეგრისის სამეფოთა დაპირისპირების დროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ფორპოსტის როლი ენიჭებოდათ როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის [მუსხელიშვილი 1977:105-106].

შესავალში მცხეთოსის შვილთაგან ერთ-ერთია ოძრხოსი. მისი წილი ქვეყანა მოიცავს ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრხოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოზრხე და თუხარის [ჯაუხჩიშვილი 1955:9]. ამ ტერიტორიას ფარნავაზის ცხოვრებაში შეესაბამება ორი საერისთავო


„მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე“ [ჯაუხჩიშვილი 1955:24]

სრულიად ნათელია, რომ ოძრხოსის წილი სწორედ ამ ორი საერისთავოს გაერთიანებას წარმოადგენს: თუ ოძრხის ერისთავის ტერიტორია ვრცელდება ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, კლარჯეთისა არსიანითგან ზღუამდე. არსიანის სასაზღვრო მიჯნის ამოღებით და ამ ორი ტერიტორიის გაერთიანებით ავტორმა მიიღო ტასისკარითგან ზღუამდე. აქ რომ კლარჯეთის ტერიტორიაც იგულისხმება სამცხესა და აჭარასთან ერთად, იქიდან ჩანს, რომ შესავლის ავტორი ოძრხის ერისთავისა და კლარჯეთის ერისთავის რეზიდენციებს უთითებს ოძრხოსის წილ ქვეყანაში: ამან ოძრხოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრხე და თუხარისი [ჯაუხჩიშვილი 1955:9].

რატომ ჩათვალა შესავლის ავტორმა, რომ ეს ორი საერისთავო როგორც ერთი ქვეყანა წარმოეჩინა, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, აქ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს საკრალურ რვა რიცხვს. ფარნავაზის ცხოვრებაში რვა საერისთავოა, ქართლოსის ძეებიც (შვილები და შვილიშვილები) რვანი არიან. თუ ერთ შემთხვევაში შესავლის ავტორმა ერთ საერისთავოში გაერთიანებული ორი პროვინციის, კახეთისა და კუხეთის ეპონიმები ერთმანეთისგან დააცალკევა, სამაგიეროდ, ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოები ერთ ქვეყანაში გააერთიანა.

შესავლის ავტორის ტერიტორიული კონცეფციის მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას ერთ-ერთი საკვანძო ადგილია ქართლოსის უფროსი შვილის, მცხეთოსის როგორც ტერიტორიული, ისე პოლიტიკური როლი მის მიერ წარმოსახულ პრეისტორიულ ქართლის მიწა-წყალზე. ქართლოსის გენეალოგია შესავლის ავტორს ასე აქვს წარმოდგენილი:



ავტორის მემკვიდრეობითი კონცეფციის თანახმად, მცხეთოსი უფროსი შვილია ქართლოსის და ამიტომაც მამის ტახტზე ჯდება და შესაბამისად იმ ადგილს იკავებს, რომელსაც მანამდე ქართლოსი იკავებდა. ქართლის მთა არის ქართლოსის დამკვიდრების ადგილი. მთა ქართლი მის ეპონიმ ქართლოსთან ერთად ავტორს წარმოუდგენია, როგორც ერთგვარი ემბრიონი, საიდანაც იბადება და იშლება ქართლის ქვეყანა თავისი შვილებითა და შვილიშვილებით. ქართლის მთა, როგორც ავტორი მიანიშნებს იგივე არმაზის მთაა. და მას არმაზი მხოლოდ მას შემდეგ დაერქვა, რაც ფარნავაზმა აქ არმაზის კერპი დადგა. მამის საყოფელში (ქართლის მთაზე) დარჩენილი მცხეთოსი აგებს ქალაქს *შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვისასა* და უწოდებს თვის სახელს — მცხეთას.

უნდა ვთქვათ, რომ არსებობს შეხედულება მცხეთის გვიანი მშენებლობის შესახებ. რომელიც ეფუძნება არქეოლოგიურ მონაცემებს და ქართლის ცხოვრებისა და მოქცევაჲს ცნობებს. *მოქცევაის* მიხედვით, მცხეთის მშენებლობა ბრატმან მეფის დროს დაიწყო [ბარამიძე 1964:82], თუმცა იგივე მატინე ამბობს, რომ ალექსანდრემ აზო არიან ქართლის ძე მცხეთაში დასვა. მაგრამ აქვე შენიშნულია, რომ აზო დაჯდა *ძუელ მცხეთას* და *თანა ჰყვანდა* თავის წინაპართა კერპები გაცი და გა [ბარამიძე 1964:82]. რადგან ვიცით, რომ გაცი და გა/გაიმი კერპები არმაზის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი ოქროსა და ვერცხლის გამოსახულებებია, საფიქრებელია, რომ *ძველი მცხეთა მოქცევაის* ავტორისთვის არის იგივე არმაზი.

თუ „მოქცევაჲს“ ქრონიკაში ნათქვამია, რომ მერვე მეფე ბრატმანის დროს *მცხეთას ქალაქი დაეწყო, ქართლის ცხოვრების* მიხედვით ბარტომმა მხოლოდ *უმატა ზღუდეთა მცხეთისათა* [ყაუხჩიშვილი 1955:30]. აქ, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს შესავლის ავტორის რედაქციულ ჩარევასთან „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში. როგორც ვთქვი, შესავლის კონცეფციის თანახმად, მცხეთოსი ქართლოსის უფროსი ძეა, რომელიც აშენებს მცხეთას (მცხეთა-არმაზი მისთვის განუყოფელია) „პრეისტორიულ“ ხანაში და, შესაბამისად, ავტორის (ამ შემთხვევაში უკვე რედაქტორის) კონცეფციიდან გამომდინარე, ბრატმანის დროს მცხეთის მხოლოდ მატება-გაზრდა-ხელახალი აღმშენებლობა შეიძლება განხორციელებულიყო.

ამგვარად, მცხეთა-არმაზი შესავლის ავტორს ერთი პოლიტიკური ერთეულის — ქართლის დედაქალაქის განვითარების ორ ეტაპად აქვს წარმოსახული: ქართლოსის სამკვიდრებელი — ქართლის მთა (გვიანდელი არმაზი) და მცხეთოსის სამკვიდრებელი — მცხეთა. ბუნებრივია, სწორედ ასეთი გააზრების საშუალებას იძლეოდა მის ხელთ არსებული ზემოთ განხილული ქართული საისტორიო წერილობითი ტრადიცია.

მცხეთოსს თავის მხრივ ჰყავდა სამი ძე: უფროსი — უფლოსი, შემდგომ მოდიოდნენ ოძრხოსი და ჯავახოსი. რატომ მოგვცა შესავლის ავტორმა ასეთი ორსაფეხურიანი სქემა? რატომ არ ჰყავს ქართლოსს უბრალოდ რვა

შვილი? ასე ხომ უფრო მარტივად აისახებოდა ქართლის ქვეყანა და მისი რვა საერისთავო?

ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, უნდა ვთქვათ, ვინ არის უფლოსი? რა პოლიტიკურ, ეთნიკურ თუ ტერიტორიულ ერთეულს ასახავს ის?

მცხეთოსის წილი ასეა მოხაზული: და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგვითგან დასავლით, ვიდრე ზღუამდე სპერისა. მცხეთოსის წილში შედის მისი სამივე ძის უფლოსის, ოძრხოსისა და ჯავახოსის ტერიტორია.

უფლოსის წილი ქვეყანა კი ასეა მოხაზული: ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფარავნამდე. და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე და უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი. (ქაუხჩიშვილი 1955: 10).

შიდა ქართლი, იგივე სასპასპეტოს ტერიტორია „ფარნავაზის ცხოვრებაში“ ასეა მოხაზული: ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფარავნამდე, რომელ არს შიდა ქართლი [ქაუხჩიშვილი 1955:24]. სპასპეტი განსხვავდება დანარჩენი ერისთავებისაგან, ზემდგომობით განაგებს მათ: და ესე სპასპეტო იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა [ქაუხჩიშვილი 1955:24-25]. მაშასადამე, უფლოსის მცხეთოსის ძის განსაკუთრებული ადგილიცა და ტერიტორიული საზღვრებიც „ფარნავაზის ცხოვრების“ სპასპეტის ადგილის შესაბამისია და აქედან უნდა მომდინარეობდეს. ამიტომაც უფლოსი არის არა უბრალოდ ერთ-ერთი ძმა ქართლოსის შვილებისა, არამედ მისი უფროსი ძის — მცხეთოსის ასევე უფროსი ძე.

უფლოსის აგებულიად მიაჩნია ავტორს ის ქალაქები, რომლებიც მტკვრის ჩრდილოეთით, მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული: და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი... იგივე ქალაქები „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ბუნ-თურქთა უფლის სამფლობელოა. როგორც მათიანე გადმოგვცემს, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში შემოსვლისას ნახა ნათესავნი სასტიკნი, ბუნ-თურქნი, — მსხდომარენი მდინარესა მტკვარსა მიხვევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი, და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისაი [ბარამიძე 1964:81]. ჩანს, რომ შესავლის ავტორი მოქცევას უფლოსი — უფლის-ციხის ეპონიმი (შდრ. ბუნ-თურქთა უფალი, უფლის-ციხე).

უფლოსი (შიდა ქართლი), ოძრხოსი (სამცხე, შავშეთ-კლარჯეთი და აჭარა) და ჯავახოსი (ჯავახეთი) ავტორმა მცხეთოსის შვილებად წარმოადგინა და არა ძმებად. ამით, შესაძლოა, ხაზი გაუსვა ამ ტერიტორიული ერთეულის (მცხეთოსის წილის) უფრო მეტ ეთნიკურ თუ პოლიტიკურ ინტეგრაციას ქართლოსის სხვა შვილებთან შედარებით (ქართლის დიალექტზე მოლაპარაკე მესხური ტომი, ახალი წელთაღრიცხვის I-IV საუკუნეების მესხურ-ქართული განსახლების არეალი [მუსხელიშვილი 2003:12-13]. ისტორიკოსი მანანა

სანაძე შესავლის ამ ეთნიკურ მოდელში ანტიკური ხანის ორმეფობისდროინდელი ქართლის პოლიტიკური დანაწილების სურათს ხედავს:

„ზენა სოფელს“ ანუ მცხეთელ მეფეს ეჭვემდებარება ოძრხის ქვეყანა და ჯავახეთი (ამიტომაც უფლოსთან, იგივე ზენა სოფელთან შედარებით ოძრხოსი და ჯავახოსი უმცროსი ძმებია), ოღონდ ჯავახეთი მცხეთელ მეფეთა გამგებლობაშია არა მთლიანად, გვიანდელი ჯავახეთის საერისთავოს გაგებით — ფარვანიტგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა (როგორც ამას უკვე VII-VIII სს. მემატიაზე გაიაზრებს), არამედ წუნდიდან ქვევით ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჯავახეთი და, შესაძლოა, ქ. წუნდა მარჯვენა სანაპიროზე... სწორედ ასე იყოფოდა ჯავახეთი ორმეფობის ხანაში“ [სანაძე 2001:55].

როგორც არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება, ცხადია, რომ, როგორც უფლოსის ადგილი ქართლოსის გენეალოგიაში, ისე მთლიანად ქართლოსის გენეალოგიური ხე ძირითადად ქართულ საისტორიო-სამწერლობო ტრადიციას ეფუძნება („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და მეფეთა ცხოვრება არჩილის ცხოვრების ჩათვლით) და მისგან საზრდოობს.

დასკვნა

ამრიგად, მიმაჩნია, რომ ქართლის შესავალს VIII ს-ის ბოლოს ქმნის ავტორი, რომელიც სარგებლობს მის დროს უკვე არსებული „ქართლის ცხოვრების“ წერილობითი ტრადიციის ამსახველი თხზულებებით: „მეფეთა ცხოვრებით“ (განსაკუთრებით ფარნავაზის, მირიანის ცხოვრებებით და „არჩილის ცხოვრებით“) და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. შესავლის ავტორს, როგორც ჩანს, ხელთ აქვს ქართლის მეფეთა ისტორია, რომელიც ფარნავაზის ცხოვრებით იწყებოდა, ანდა იწყებოდა დაახლოებით ისე, როგორც იწყება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის აღნიშვნით.

შესავლის ავტორი განსაზღვრავს ქართლის ადგილს მისი დროისა და მისი თვალსაწიერის მსოფლიოში — ოიკუმენაში, განსაზღვრავს მას როგორც *ჩრდილოის ქვეყანას*, როგორც თარგამოსის, მისთვის ურარტუს ეთნარქის, კავკასიელთა საერთო წინაპრის შთამომავალს; განსაზღვრავს ასევე კავკასიის საერთო ეთნოგეოგრაფიულ სივრცეს, სადაც თარგამოსის ძეები და ერთმანეთის ძმებად წოდებული ხალხები (ეპონიმების სახით) არიან განსახლებულნი. ამ ნაწილში ავტორი ძირითადად უცხოურ წყაროებს ეყრდნობა და, ამასთანავე, „პრეისტორიული“ ხანის შესახებ ადგილობრივ ზეპირ გადმოცემებს, თქმულებებსა და მითებს ემყარება.

შესავლის ავტორის გეოგრაფიულ აღწერილობათა ლოგიკა განსხვავდება „ქართლის ცხოვრების“ მატიანისეული აღწერის სტილისაგან. აქ უკვე არა მემატიანის ინტერესი და ამოცანა ჩანს, არამედ ისტორიკოსისა. თუ „მეფეთა ცხოვრების“ ტრადიცია საქართველოში ძირითადად მატიანის უანრის

ფარგლებში ჯდება („ადიწერებოდა ჟამითი-ჟამად“ თვითმხილველთა მიერ „ვითარცა იხილონ“), შესავლის ავტორი უკვე ისტორიკოსია. მას არა თანამედროვე ამბების ჩაწერა და დამახსოვრება აქვს განზრახული, არამედ — წარსულის რეკონსტრუქცია. ის მუშაობს წყაროებზე, ადარებს, ანალიზებს მათ და შესაფერის კონცეფციას ქმნის.

ეს სამუშაო არა მხოლოდ ისტორიული ჟანრის განვითარების კუთხით იყო სიახლე. თავად ისეთი ამოცანის წარმოშობა, როგორცაა ეთნიკური წარმომავლობის დადგენა, ეთნოსთა მსოფლიო ოჯახში საკუთარი ადგილის მოძებნა, ეთნოკულტურული იდენტობის ფორმირების ახალ ეტაპზე მიანიშნებს. ამჟამად, ავტორს სოციალური და კულტურული მოტივები ამოძრავებს. მაშასადამე, მერვე საუკუნის ბოლოსთვის საზოგადოების ცნობიერებაში უკვე არსებობს საკუთარი წარმომავლობის მითის მოთხოვნა. როგორც ჩანს, მხოლოდ მეფისადმი ლოიალობა, მხოლოდ მეფე-წინაპრის — ფარნავაზისა და მისი შთამომავლების მიმართ ერთგულება, ანდა „ხოსროიან“ მეფეთა იდეოლოგია ვეღარ ასაზრდოებდა ერთობის თვითიდენტიფიკაციის მოთხოვნებს ახალ პოლიტიკურ და კულტურულ რეალობაში, რომელიც არაბთა შემოსევების შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოში.

არსებობდა თუ არა საერთო წარმომავლობის მითი ქართულ ერთობაში უფრო ადრე? წარმომავლობის მითი, ზეპირი ან წერილობითი ფორმით შესაძლოა არსებულებოდა (ამის ნიშნები თვით „ქართლის ცხოვრების“ შესავალში დასტურდება) წარმართულ ქართლში, მაგრამ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ასეთი მითი, თუ მას „ქრისტიანიზაციის“ კვალი არ დაეტყობოდა, ვერ მოიპოვებდა მნიშვნელოვან ადგილს ლეგიტიმური კულტურის ფარგლებში. შესავლის ავტორმა კი სწორედ საერთო ქრისტიანულ სივრცეში ლეგიტიმურად მიჩნეული ისტორიულ-ლეგენდარული და საკრალური ნომენკლატურის „ჩარჩოში ჩასმული“ ქართული ერთობის გენეზისის სურათი შექმნა.

დამოწმებანი

გეორგიკა 1961: გეორგიკა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.

ტ. I, ტექსტები თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გორდუხიანი 1993: გორდუხიანი რისმაგ, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ეგსებიუსი 1967: Eusebi Chronicorum. Liber Prior. Edited Alfred Schoene. Armenian Versio-nem Latine ad Libros Manuscriptos. Recensavit H. Petermann. Dublin/Zürich: Apud Weidmannos, 1967 (unveränderter Nachdruck der Auflage von 1875).

ვილამაჯო 1997: Agustí Alemani i Vilamajo. L' expedició dels Khazars: un parallel caucasic d'Herodot. Universitat Autònoma de Barcelona 19/12/1997. <http://add.uab.es/pub/faventa/02107570v20n2p45>

- კეკელიძე 1941:** კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კეკელიძე 1956:** კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კეკელიძე 1957:** კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მელიქიშვილი 1959:** Меликишвили, Георгий. К истории древней Грузии. Тбилиси: Издательство Академии Наук Грузинской ССР.
- მუსხელიშვილი 2003:** დავით მუსხელიშვილი (რედ.) *საქართველოს ისტორიის ატლასი*. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“.
- პეტრუხინი:** Петрухин, В.Я. «Иеротопия русской земли и начальное летописание». Иеротопия...
- რაპი 1997:** Rapp, Stephen Harold. *Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and The Architects of the Written Georgian Past. Vol. I. A dissertation submitted in partial fulfilment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (History) in The University of Michigan.*
- სანაძე 2001:** მანანა სანაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბილისი: საქართველოს მაცნე.
- საზარული კორესპონდენცია** — „Khazar Correspondence“, *Wikipedia*. <http://en.wikipedia.org/wiki/Khazar_Correspondence> 22 ოქტ. 2007 წ.
- ჯავახიშვილი 1977:** ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტომი VIII. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

The Introduction to *Kartlis Tskhovreba* and its Historical — Territorial Conception

Lela Pataridze

The Kartlis Tskhovreba, a corpus of writings of historiographic character, occupies a central place in medieval Georgian historiographic tradition reflecting the history of Georgia from the beginning to the 17th century inclusive. The corpus comprises historical writings of different periods, among which most controversial in modern scholarship is its opening part, in which, traditionally, historical narrative is identified as from the beginning to the 5th century, and from the 5th to the 8th century inclusive. Both these parts are also referred to in the specialist literature as *the opening part of the Kartlis Tskhovreba* ⁶. The first work is entitled *The Life of the Kings and Forefathers and Descendants* (in brief: *The Life of the Kings*). According to the view accepted in Georgian scholarly circles, its author is Leonti Mroveli (11th cent.), while the other _ entitled *The Life of Vakhtang Gorgasali* _ is attributed to Ilarion Juansheri, an author of the same century. Notwithstanding the established view, both the composition of the opening part of the *KTs*, the dates of its writing and editing, as well as the attribution of the text is still the subject of debate among scholars. Some researchers date it to the 8th century (Manana Sanadze, Giorgi Anchabadze, Edisher Khoshtaria-Brosset), but there are attempts to date individual sections of this source to a still earlier period (Vakhtang Goiladze, Manana Sanadze). I believe that such divergence of opinions is due to the lack of consideration of the genre specificity of the *KTs* as an integral and continuous historiographic tradition and inadequate research into the ideological and world view aspects of its individual sections.

Noteworthy in this aspect is the monograph of the American scholar Stephen Rapp, devoted to the study of Medieval Georgian historiography. Particular interest attaches to the view expressed in his book, according to which *the Life of the Kings*, largely in the shape it has come down to us, is a work written in the „pre-Bagrattid period“, which should be dated to *ca* 800 (Rapp 55-109). The researcher relies mainly on two arguments: 1) no trace of the ideology of the Bagrationis is found in this part of the work. The Bagrationis received the royal title around 800. Instead, in this part of the *KTs* the influence of Iranian culture is strongly felt. 2) Rapp discusses the sources of the work and arrives at the conclusion that, along with other sources (the Greek *Alexander's Life*, the Pahlawi *Khodai-Namak* or its Arabic compendium), the author of the *Life of the Kings* must have had the Old Armenian translation (7th cent.) of the Chronicle of Hippolytus of Rome.

6 Hereafter abbreviated to *KTs*.


Although the cited researcher posed the question of the ideology of the *Life of the Kings*, as well as of the identification of its sources, and succeeded in dating the *Life of the Kings* on the basis of these data, I believe, a number of issues are still in need of further research and specifications: 1) on the named sources is based mostly the introductory part of the *Life of the Kings* and not the whole historiographical piece. The named part (later *Introduction*) reflects postdiluvian period up to the history of Kings of Kartli and serves as „prehistoric“ ethno-territorial context for the narrative of history of Georgian kings. So the date (*ca* 800) can be applied only to the *Introduction* and not to the whole text of the *Life of the Kings*. 2) Apart from a world historico-territorial conception, the *Introduction* evinces such ethno-territorial knowledge that the author of the *Introduction* could have gained only from the other part of the *Life of the Kings*, namely from the narrative of the history of the Georgian kingdom. 3) At the same time the *Introduction* and the narrative of the history of the Georgian kings obviously differ in outlook: from the viewpoint of ideology, collective cultural identity and historical consciousness.

Therefore, in order to determine the history of composing the *OP*, I consider it methodologically justified to discuss the two parts (the *Introduction* and the narrative of the history of the Georgian kings given in the *OP*) separately. Such discussion may result in the ascertainment not only of the composition and the history of shaping of the *KTs*, but also in the identification of significant aspects of history and culture in early medieval period Georgia.

As a result of my previous research I have come to the conclusion that the *KTs* is a narrative of a clearly ideological character (Pataridze 2008 *a*; Pataridze 2008 *b*). In particular, the relatively extended „Lives“ in the *OP* (*The Life of Mirian*, *The Life of Vakhtang Gorgasali*, *The Life of Archil*) are at the same time texts with the function of legitimation of these kings. In the *OP* the ideology of the „Chosroid“ Kings of Kartli takes shape (according to *KTs*, prior to the enthroning of the Bagrationis, the Kingdom of Kartli was ruled mainly by two dynasties: the Parnavazids, 3rd cent. BC – 3rd cent. AD. and the „Chosroids“ – collateral line of the Sassanids – 3rd-8th cent. Texts of this character must have been composed for ideological purposes under the patronage of the royal court. Accordingly, their composition should be dated to the period of the rule of the Sassanid dynasty in Persia and the time of political and cultural influence of this state on the Kingdom of Kartli. This assumption is supported by an adscript to the *OP* of the *KTs*, conjecturally made in the mid-8th century. The adscript says that the „Book of the Life of the Georgians“ was written from time to time down to the reign of Vakhtang Gorgasali. It was last described by the Eristavi Juansher Juansheriani, son-in-law of King Archil († mid. 8th cent.), and after that it must have been described by eye-witnesses (Qaukhchishvili 1955:248). Thus, it should be assumed that in the *OP* (as well as in later parts) the text containing the history of the Kings was composed periodically, supplemented and edited. The provision of an historical-ethnological *Introduction* presents a trace of one of the editions of this text rather than its original version.

As noted above, the author (8th-9th cent.) of the *Introduction* made use of foreign sources, but he was simultaneously guided by local historiographical tradition. He

had recourse to foreign sources when he wanted to determine the place of the Kingdom of Kartli and the Georgian ethnos in the context of the provenance and settlement of the world's peoples, and he made use of local tradition when constructing a genealogical line of the ethnarch of Georgians proper, i.e. Kartlos and his descendants (eponyms of the Kingdom's administrative units – eristavates and provinces), indicating the boundaries of their domains. The ethnogenetical diagram of the author of the *Introduction* may be drawn thus:



According to the conception of the *Introduction*, the brothers (Haos, Kartlos, Heros, Egros, Bardos, Movakan, Lekan, Kavkas) are equal political units, while the sons and grandsons of Kartlos (Mtskhetos, Kakhos, Kukhos, Gachios, Gardabos, Uplos, Odzrkhos, Javakhos) are subordinate administrative units.

How did the author draw up precisely such an ethno-genetic model of the Middle Ages *ca* at the end of the 8th century? The author of the *Introduction* could draw such a diagram by recourse to the *OP*. But his diagram does not repeat directly any of the historio-geographic pictures given there. The author of the *Introduction* emerges here as a historian who attempts to reconstruct the 'prehistoric' picture on the basis of the historiographical tradition at hand.

The present paper discusses in detail the designation and territorial boundaries of each eponym given in this diagram, and compares with the evidence of the *OP* (Including *The Life of Farnavaz*, *The Life of Mirin*, *The Life of Vakhtang Gorgasali*, *The Life of Archil*). This comparison shows that the author of the *Introduction* used the *OP* or an its earlier version, worked on the evidence available here and on the basis of these reports created an ethno-genetic picture of pre-Kingdom Kartli and the entire Caucasus. As his purpose was to reconstruct the pre-Parnavaz – according to this tradition, Parnavaz was the first King of Kartli – ethno-territorial situation, the author of the *Introduction* rests mainly on the *Life of Parnavaz* (the territorial boundaries of „Heros“, „Egros“, „Kakhos“, „Kukhos“). However, in defining the territory allotted to „Egros“ the author of the *Introduction* makes use of the *Life of Archil* as well.

On some occasions the author of the *Introduction* bases himself on the evidence of *Life of Mirian*. For example, in the part of the *Life of the Kings*, which describes the life of the King Mirian, the chronicler proclaims Mirian the governor of the entire South Caucasia, listing the territories under his governorship. Here is this list: „Thus did Mirian reign in Kartli - across Mtskheta - Somkhiti, Rani, Hereti, Movakan and Egri“ (Qaukhchishvili: 1955: 65). The list of ethnonyms of South Caucasia, presented in the *Introduction*, coincides exactly with this list. This gives us ground to concep-

tualize the relevant passage in the *Life of Mirian* as the source of the author of the *Introduction*.

Kartlos	<	Kartli
Haos	<	Somkhiti (Armenia)
Bardos	<	Rani
Heros	<	Hereti
Movakan	<	Movakani
Egros	<	Egri

The eponym „Gardabos“, presented in the *Introduction*, is especially noteworthy. Its boundaries correspond to the Khunani eristavate of the *Life of the Kings*. In the *Moktsevai Kartlisai* (‘The Conversion of Kartli’) (Georgian historical chronicle covering the history of the kingdom of Kartli from the campaign of Alexander the Great to the 7th century AD, inclusive, dated to the 7th cent.) and in the *KTs* it refers to the Alvani province in the majority of cases is used in the sense of Gardmani. Hence, it is incomprehensible why should the author use ‘Gardabani’ as the eponym in denoting the territory of the eristavate of Khunani. Or vice versa, if the author of the *Introduction* and the author of the part of the history of the Kings are the same person, why does such terminological incompatibility take place? „Gardabani“ and „Gardabanians“ are often used in reference to the cited territory in the *KTs* only to denote events of the end of the 8th and 9th centuries. (This part of the *KTs* is tentatively called *Matiane Kartlisai* (‘The Chronicle of Kartli’). Hence the author of the *Introduction* may have conceptualized the place name „Gardabani“ precisely at this time as the eponym of the given territory (Khunani eristavate). Had the author (and not only editor) of the *Introduction* of the remaining part of the *Life of the Kings* been the same person, such terminological discrepancy would not have taken place.

Thus, I believe that the Introduction to *KTs* at the end of the 8th – early in the 9th century was written by an author who made use of the works reflecting the written tradition of *KTs*, available to him at the time: *The Life of the Kings* (especially the *Lives* of Parnavaz, Mirian and Archil) and the *Moktsevai Kartlisai*. Apparently, the author of the *Introduction* had a history of the Kings of Kartli, which began with the *Life of Parnavaz*, or it commenced approximately in same way as the *Moktsevai Kartlisai*, noting the coming of Alexander the Great to Kartli.

The logic of the ethno-geographic and historical descriptions of the author of the *Introduction* differs. Here it is not the interest and task of a chronicler that are manifested but those of a historian. Whereas the tradition of the „Life of the Kings“ in Georgia falls basically within the frame of the chronicler’s genre, the author of the *Introduction* is already a historian. His purpose is not to record and remember his contemporary developments but to reconstruct the past. He works on sources, compares and analyses them, and creates an appropriate conception.

This work was a novelty not only from the angle of development of the historical genre. The rise of such a task as determination of ethnic provenance, finding one’s place in the world family of ethnoses point to a new stage of the shaping of ethno-

cultural identity. Clearly enough, by the end of the 8th century there exists a demand for a myth of one's own provenance in the consciousness of society. Loyalty to the first King – Parnavaz and his offspring, or to the ideology of the „Chosroid“ Kings failed to nourish the demands of self-identification of the community in the new political and cultural reality, taking shape as a result of the Arab invasions of Georgia.

The Author of the *Introduction* created a picture of genesis of Georgian community 'framed' within the historical-legendary and sacred nomenclature considered legitimate in the common Christian space.

Bibliography

- Alemani i Vilamajo, Agusti.** L' expedicio dels Khazars: un parallel causic d'Herodot. Universitat Autònoma de Barcelona 19/12/1997. <http://add.uab.es/pub/faventa/02107570v20n2p45>
- The Book of the Cave of Treasures.** Translated from the Syriac by E. A. Wallis Budge London, The Religious Tract Society: 1927. Scanned and edited by Christopher M. Weimer, June 2002. <http://www.sacred-texts.com/chr/bct/index.htm> , September 2008.
- Georgica 1961.** The Evidence of Byzantine Writers on Georgia, Vol. I. The texts edited with a translation and comments by A. Gamqrelidze and S. Qaukhchishvili. Tbilisi: Publishing-house of the Acad. Sc. Georgian SSR (in Georgian).
- Eusebi Chronicorum.** Liber Prior. Edidit Alfred Schoene. Armenian Versionem Latine ad Libros Manuscriptos. Recensivit H. Petermann. Dublin/Zurich: Apud Weidmannos, 1967 (unveränderter Nachdruck der Auflage von 1875).
- Javakhishvili, Ivane.** 1977. Works in twelve volumes. Vol. VIII. Tbilisi: Tbilisi State University Press (In Georgian).
- Kekelidze, Korneli.** 1941. A History of Old Georgian Literature, vol. I. Tbilisi: Tbilisi State University Press (in Georgian).
- Kekelidze, Korneli.** 1956. Studies in the History of Old Georgian Literature, I. Tbilisi: Tbilisi State University Press (in Georgian).
- Kekelidze, Korneli.** 1957. Studies in the History of Old Georgian Literature, IV. Tbilisi: Tbilisi State University Press (in Georgian).
- Меликишвили, Георгий.** К истории древней Грузии. Тбилиси: Издательство Академии Наук Грузинской ССР, 1959.
- Muskhelishvili, David.** 1977. Basic Questions of the Historical Geography of Georgia, v.I, Tbilisi: Metsniereba (in Georgian).
- Muskhelishvili, David.** 1980. Basic Questions of the Historical Geography of Georgia, v.II, Tbilisi: Metsniereba (in Georgian).
- Muskhelishvili, David.(ed.)** 2003. An Atlas of Georgian History. Tbilisi: Mematiane Publishers, I. Javakhishvili Institute of History and Ethnology (in Georgian).

- Pataridze, Lela. 2008a.** Mirian and his Reign: Ideological Aspect: Proceedings of the Institute of History and Ethnology, I, 2008 (In Georgian).
- Pataridze, Lela. 2008b.** „The Idea of Kingship in the Life of Vakhtang Gorgasali“: Studies in Medieval History of Georgia. IX (In Georgian).
- Петрухин, В.Я.** «Иеротопия русской земли и начальное летописание». Иеротопия. Москва: Радунница (In Russian).
- Qaukhchishvili, Simon (ed.). 1955.** Kartlis Tskhovreba, v.I. Tbilisi: Sakhelgami (In Georgian).
- Rapp, Stephen Harold.** Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and The Architects of the Written Georgian Past. Vol. I. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (History) in The University of Michigan.
- Sanadze, Manana. 2001.** The „Kartlis Tskhovreba“ and the Ancient Period of Georgian History. Tbilisi: Sakartvelos Matsne (In Georgian).